პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 18 სექტემბერი 2004 №217 (2238) ფასი 50 თეთრი


# ბრაიკოვიჩს ელაპარაკნენ





დღეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ლუქსემბურგში წლის ბოლო შეხვედრას თამაშობს და მაკედონიასთან მარცხის შემდეგ იოლი მოგებით გამოიკეთებს გუნებას. მაგრამ ლუქსემბურგის თუნდაც 30 ქულით წამოქცევა გამრუდებულ საქმეს რომ შველოდეს...

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა და ნაკრების მწვრთნელმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მაკედონიასთან ნამარცხევს, ცხადია, ისაუბრეს და ისიც ცხადია, რაზე, ოღონდ ვერ გეტყვით, რა და როგორ ითქვა. ამას ნაკრების ლუქსემბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ ბრაიკოვიჩის საგანგებო პრესკონფერენციაზე შევიტყობთ. ბევრი კითხვა დაგროვდა და ხორვატს ალბათ გაუჭირდება ყველაზე პასუხის გაცემა.

სხვაფრივ კი, ლუქსემბურგთან თამაშის წინ ყველა კალათბურთელი ჯანზეა. ივარჯიშა თბილისში ფინელებთან ფეხნატკენმა ნიკა ცქიტიშვილმაც და გუნდის ყველაზე მაღალი წევრი ალბათ ლუქსემბურგთანაც სრულად დაიტვირთება.

## ყველაზე მოულოდნელი კრაკოვული შთაბეჭდილება

## იმედი



## უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯი, ერთი გოლია

UEFA CUP

... თქვენ უნდა მიხვიდეთ 30 სექტემბერს ეროვნულზე და დიდი შანსია, უზომოდ გაიხაროთ. მომსწრე გახდეთ დღევანდელი ჩვენი ფეხბურთისთვის უჩვეულო ამბისა — შესაძლოა ქართულმა გუნდმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშოს...

... რა სჭირს „დინამოს" 60-დან 65-ე წუთამდე? რა ჯადოა ისეთი, რომ მოედანზე მყოფი თერთმეტივე ფეხბურთელი ერთდროულად იბორკება და მეტოქესაც გააქვს და გააქვს...


კობა ინასარიძის

კრაკოვული შთაბეჭდილებები

იხილეთ მეორე გვერდზე

## უეფას თასი 2004–2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 სექტემბერი. ეროვნული

## დინამო — ვისლა

# 30-მდე ხალხი დღეებს დაითვლის, 30-ში წუთებს

! ჩვენ მოვიგებთ! ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ, ოღონდ... ჩვენ ხალხი გვჭირდება, გადაჭედილი „ეროვნული“ გვჭირდება. ეს ის სიტყვებია, ის იმედია, რაც თბილისის „დინამოს“ უკლებლივ ყველა ფეხბურთელისგან ისმოდა და იგრძნობოდა გუშინწინ „ვისლასთან“ 3:4 წაგებული მატჩის მერე... !

# დინამომ ჯადო უნდა აიხსნას

## ნორმალური 85 და პარანორმალური 5




„ვისლასა“ და მის ლიდერს მაცეი ჟურავსკის პირველ ტაიმში ეს ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ...

კრაკოვული რეპორტაჟისას რამდენჯერმე მომიხდა „სლავიასა“ და „დინამოს“ პრაღული მატჩის ხსენება, მსურდა, „ვისლასთან“ გუშინწინდელ და ჩეხებთან სტუმრად თამაშებს შორის პარალელები გამევლო, მაგრამ ცაიტნოტის გამო ეს ვერ მოვახერხე და მერე ჩემთვის გონებაში ვფიქრობდი, თუ როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ეს ორი მატჩი ერთმანეთს. პრაღაში, ერთხელაც გავიხსენოთ, ასე იყო: „დინამო“ 1:0 იგებდა და იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდა პირველ ტაიმში, კაცი ვერ იფიქრებდა, 1:3 თუ წააგებდა. ჩეხებმა გოლები 61-ე, 64-ე და 77-ე წუთებზე გაიტანეს. „ვისლასთან“ პირველ ტაიმში „დინამოს“ უპირატესობას აშკარა არ ეთქმოდა, მაგრამ თამაში მაინც მისი იყო და აკი ეს ანგარიშშიც აისახა — 2:0. ახლა კი პოლონელთა ოთხი გოლის წუთები ჩამოვთვალოთ: 60, 62, 64, 76. „დინამომ“ ჩეხეთში ფაქტობრივად მოგებული თამაში სამ წუთში წააგო, პოლონეთში — ოთხში. საქმე მოითხოვდა ამ ორი შეხვედრის შედარებას, მაგრამ კრაკოვული მატჩიც იმდენად დაძაბული და მომენტებით დახუნძლული გამოდგა, საამისო დრო აღარ იყო.

„დინამომ“ მატჩი ისევე დაიწყო, როგორც პრაღაში „სლავიასთან“ შეხვედრა. თუმც ჯერ ძალიან ადრეა, მე-9 წუთია — კრაკოვში „სლავია“ პირველად თამაშის ამ დროს ვახსენე.

ეს უკვე ნამდვილად „სლავია“—„დინამოს“ სცენარია... ვნახოთ, რა როგორ გაგრძელდება — ეს სტრიქონები უკვე მე-18 წუთისთვის დაიწერა, მაშინ, როცა კანკავამ ანგარიში გახსნა და „დინამო“ 1:0 დაწინაურდა.

ვნახოთ, რა როგორ გაგრძელდება! შეგნებულად ვიმეორებ ამ სიტყვებს, ვინაიდან „სლავია“ — „დინამო“ კრაკოვში ზუსტად განმეორდა და თბილისში, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენებმა ჩეხებს რა დღე აყარეს. სწორედ მაშინ, „სლავიასთან“ პრაღული მატჩის მეორე დღეს ვწერდი, მოდით სტადიონზე, არ ინანებთ, „დინამოს“ „სლავიას“ ძლევა შეუძლია და დიდი შანსია, ძალიან გავიხაროთ.

იგივეს ვიტყვი ახლაც, „ვისლასთან“ მატჩის მეორე დღეს: თქვენ უნდა მიხვიდეთ 30 სექტემბერს ეროვნულზე და დიდი შანსია, უზომოდ გაიხაროთ. მომსწრე გახდეთ ქართული ფეხბურთისთვის უჩვეულო მოვლენისა — შესაძლოა „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშოს.

მოკლედ, 30 სექტემბერი, „დინამოს“ ქომაგებო, თქვენია! წადით სტადიონზე, გაიხსენეთ ძველი დრო და დაეხმარეთ ქართულ გუნდს მოგებაში.

გაოცებული ვარ, „დინამოსგან“ ასეთ თამაშს კრაკოვში არავინ ელოდა — გვითხრა ერთმა კეთილმა პოლონელმა, რომელიც ქართველ ჟურნალისტებს გვემსახურებოდა. იგივეს ამბობდა ნახევარი კრაკოვი ნამატჩევს — ხალხი გაკვირვებული გამომეტყველებით არჩევდა შეხვედრას.

„დინამოს“ კარგი თამაში კი, იქ მყოფ ქართველობას დიდად არ გაგვკვირვებია, რადგანაც ორი დღე გუნდთან ერთად ვიყავით და ბიჭების განწყობა იმდენად ოპტიმისტური იყო, ჩვენც იმედიანად ვიყავით.

სხვა რამ გაგვიკვირდა: რა ჭირი სჭირს „დინამოს“ 60-დან 65-ე წუთამდე. რა მოქმედებს გუნდზე ისე, რომ მოედანზე მყოფი თერთმეტივე ფეხბურთელი ერთდროულად ითიშება და მეტოქესაც ხელ-ფეხი ეხსნება.

ჩვენთვის ძნელია ასეთი ხუთწუთიანი ჩავარდნის ახსნა და ამ კითხვაზე პასუხი ჯერ გია გეგუჩაძესაც არ აქვს: ეტყობა, ეს კანონზომიერებაა და არა შემთხვევითობა. ახლა ვერ გიპასუხებთ, უნდა დავფიქრდე და ხუთწუთიანი ჩავარდნის მიზეზებს ჩავწვდე, გვითხრა „ვისლასთან“ ნამატჩევს „დინამოს“ მწვრთნელმა.

ფიზიკური მოუმზადებლობა, ტაქტიკური სქემის გადაწყობა, მოდუნება? ეს ფაქტორები „დინამოს“ 60-დან 65-ე წუთამდე გათიშვის ასახსნელად ვერ გამოდგება თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მატჩის ბოლოსკენ, ბოლო 10-15 წუთი „დინამო“ ისევე თამაშობს, როგორც მატჩის დასაწყისში.

კრაკოვიდან თბილისში დაბრუნებულს „დინამოს“ ჩავარდნის ასახსნელი ასეთი მიზეზი დამხვდა: ზოიძე მამალაძით რომ არ შეეცვალიიყო, „დინამო“ არ წააგებდაო. შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, შეიძლებოდა, პირიქითაც, ამას კაცი ვერ იტყვის. ოთხი გოლიდან მამალაძის ბრალი არც ერთია, თუმც ბევრი ამბობს კი არა, ამტკიცებს, ძირითადი მეკარის შეცვლამ დანარჩენ ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად იმოქმედაო. იქნებ, ასეც იყოს, მაგრამ აქვე გავიხსენოთ პრაღული მატჩიც. მაშინ არც მეკარე შეცვლილა, არც სხვა ფეხბურთელი, თუმც „დინამო“ ხუთი წუთი აზრზე არ იყო. პრაღისა და კრაკოვის მატჩებს შორის საერთოა ისიც, რომ „დინამოს“ გათიშვა პირველი საპასუხო გოლის შემდეგ დაიწყო და ხუთ წუთს გასტანა. მერე ჩვენებმა თამაში ნელ-ნელა გაათანაბრეს და ბოლოსკენ უპირატესობაც დაიბრუნეს. ჩავთვალოთ, რომ გაშვებული გოლის ბრალია ეს ავადსახსენებელი ხუთი წუთი? ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ და თავს ვერ დავდებ, ასეაო, თუმც მაინც ვფიქრობ, რომ დღევანდელ „დინამოს“ სწორედაც რომ გამოცდილება აკლია და გუნდში არც იმდენი გამოცდილი ფეხბურთელია, ჭაბუკები გაამხნევონ, დაამშვიდონ და გოლის შემდეგ გულგატეხილებზე ფსიქოლოგიურად იმოქმედონ. მხოლოდ ნემსაძე და ზოიძე ცხრა ახალგაზრდას ვერ გასწვდებიან. თუმც გიორგიმაც და ირაკლიმაც კრაკოვში თავისი მაინც გააკეთეს.

ზოიძე, ორი კვირის ნამკურნალევი და კრაკოვში ისევ ბარძაყის კუნთდაჭიმული, მატჩის მერე ბიჭებს ისე ამხნევებდა, კაცს გული აგიჩუყდებოდა. 32 წლის ნემსაძე კი თავის გამოცდილებას უზიარებდა 18-20 წლის თანაგუნდელებს და ტაქტიანად მიანიშნებდა შეცდომებზე. თავად ბიჭებიც გულისყურით უსმენდნენ უფროსებს და იქ მყოფებს ესეც სასიკეთოდ გვენიშნა.

ჩვენ მოვიგებთ, ოღონდ ხალხი გვჭირდება, ქომაგი გვჭირდება — ამბობს „დინამო“. პასუხი შენ იცი, ქართულ ფეხბურთზე გულატკიებულო!

თბილისის გზაზე კი ერთი-ორჯერ ისიც ითქვა, ეგებ 30 სექტემბრამდე, ანუ „ვისლასთან“ საპასუხო მატჩამდე ეროვნული სტადიონი ბოლომდე ინდივიდუალური სკამებით შეივსოს და... 1:0, 2:1, 3:2 — ასეთი მინიმალური ანგარიშ-სხვაობით გამარჯვებაც კი „დინამოსი“ იქნება.

მაშ, 30 სექტემბრამდე, „ეროვნულზე“ შევხვდეთ.

**კობა ინასარიძე**
კრაკოვი - თბილისი




„ვისლას“ ფანებმა შესვენებაზე კლუბის მაისურა გაშალეს და გაიხარეს კიდეც

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 — 7 ტური — ანონსი

გორი. 18 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — კოლხეთი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. კაკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი; დირექტორი: ს. კუტივაძე

ბათუმი. 18 სექტემბერი. 16 საათი. დინამო

## ბათუმი — ზესტაფონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ბოლნისი. 18 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — ტორპედო

მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიწმაგაშვილი; დირექტორი: გ. კეტაშვილი

მცხეთა. 18 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — თბილისი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ურუშაძე; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 20 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული

## დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

# მოდი, ავიწიოთ მაღლა

## ფოთელებს გორში კონსერვი ჩააქვთ

დღეს საქართველოს მე-16 ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ოთხი მატჩი გაიმართება. ტურის მთავარი შეხვედრა „დინამო“ — „ლოკომოტივი“ კი 20 სექტემბერს ჩატარდება. მიზეზი იოლი მისახვედრია: დინამოელები გუშინ დილით ჩამოფრინდნენ კრაკოვიდან და ძალების ალსადგენად დრო სჭირდებათ.

ერთი სიტყვით, ჩვენც დარჩენილ მატჩებზე ვთქვათ, რომელთაგან „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისს“ გამოვარჩევთ.

დრომ ისე მოიტანა, რომ წინა ჩემპიონატის ტოპ-გუნდები ძველებურად ველარ გვჭრიან თვალს — „ვიტ ჯორჯიაც“ და „თბილისიც“ ჯერ ძველ ფერზე ვერ არიან, თუმც იმედია, მალე ორივე ათამაშდება და ჩემპიონატიც უფრო დაიძაბება.

„ვიტ ჯორჯიამ“ წინა ტურში „ლოკომოტივთან“ სტუმრად აილო ქულა და ახლა მოსაგებად ილესავს კბილებს, მით უმეტეს, შინ თამაშობს. საინტერესოა ისიც, რომ წინა ჩემპიონატში „თბილისმა“ სწორედ ვეტერინარებთან „ოქროს მატჩში“ „ჩაჭრილი“ ბოლნისის „სიონის“ ნაცვლად მიილო ბრინჯაოს მედლები.

მოკლედ, დღეს მცხეთაში ქართული საზომით არცთუ მცირე გაქანების მატჩია და იმედი ვიქონიოთ, რომ გაცემული ავანსები გაგვიმართლდება.

არანაკლებ ჯახს ველით ბოლნისშიც. ამ ჩემპიონატის ყველაზე გამოუცნობი გუნდი, ქუთაისის „ტორპედო“ „სიონს“ ესტუმრება. ბოლნისელები თანდათან უმატებენ და ვარლამ კილასონიასაც უკვე შეუძლია თამამად თქვას, მებრძოლი გუნდი მყავსო, თუმც მოტივაცია ქუთაისელებსაც საკმაო აქვთ — „ტორპედოს“ შეუძლია, ორი დღით მაინც წამოაჯდეს „დინამოს“ თავზე.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ „ტორპედოს“ ბოლო სტუმრობა ბოლნისში იღბლიანი გამოდგა. წინა სეზონში, თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში, ოთარ გაბელიას გუნდმა საშინაო 0:0-ის შემდეგ 3:2 დაამარცხა „სიონი“ და შემდეგ ეტაპს უწია.

მეექვსე ტურში პირველი გამარჯვებით გახარებულ „ზესტაფონს“ ახლა „ბათუმთან“ მოუწევს ჯაჯგური. ზღვისპირელებს ამბიციური გუნდი კი ჰყავთ, მაგრამ მათ თამაშს მარილი მაინც აკლია და არაა გამორიცხული, იმერლებმა ქულას გამოჰკრან ხელი. მით უმეტეს, ვლადიმირ ზემლიანოიმ გუნდი რამდენიმე ფეხბურთელით გააძლიერა და თან პირველი შემთხვევაა, „ზესტაფონი“ მეტოქეს აუტსაიდერის რანგში რომ არ სტუმრობს.

ბოლოს მაჩანჩალებზეც. გორის „დილა“ და ფოთის „კოლხეთი“ მე-16 ეროვნულის უსუსტესი გუნდები რომ არიან, აშკარაა. თან გორელებს სხვა პრობლემებიც აქვთ — მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი „ზესტაფონთან“ წაგების მერე თანამდებობის დატოვებას აპირებდა, მაგრამ მაინც დარჩა და შესაძლოა, „კოლხეთთან“ წაფორხილებამ საბოლოოდ აალებინოს ხელი „დილას“ გაწვრთნაზე.

თავის მხრივ, უკეთეს სიტუაციაში არც ფოთელები არიან. ამდენი მოუგებელი თამაშის მერე გუნდს ხასიათი წაუხდა, წაგებას წაგება მიაყოლა და ცხრილის ფსკერზეც დაკონსერვდა. დღეს კი შანსი აქვს, დიდი პაუზის მერე სამი ქულა აილოს და სატურნირო ცხრილშიც აინაცვლოს.

**ბახა შალამბერიძე**



ზვიად სტურუას (მარცხნივ) და „ტორპედოს“ დღეს ბოლნისში მოგებით ყვითელი მაისურის ჩაცმა შეუძლიათ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 20:4 | 16 |
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| თბილისი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:3 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:20 | 6 |
| ზესტაფონი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |
| კოლხეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| დილა | 6 | 0 | 0 | 6 | 4:14 | 0 |

# აღარც ვითამაშოთ?!

## შოთა ბაბუნაშვილის განწყობის თეორია



*გაჭირვებულ-გალატაკებული და შეკრებაგაუვლელი ქუთაისის „ტორპედო“ ისევ გვაკვირვებს — რიონისპირელები თბილისის „დინამოსთან“ ერთად ლიდერობენ ჩემპიონატს. არადა, სეზონის დაწყებამდე ამას ვერავინ იფიქრებდა. თავად ტორპედოელებიც ამბობდნენ, უმაღლეს ლიგაში ადგილი თუ შევინარჩუნეთ, კმაყოფილები ვიქნებითო. ერთი სიტყვით, ექვსი ტურის შემდეგ „ტორპედო“ დაუმარცხებელია და დღეს ბოლნისში მორიგი სამი ქულისთვის ჩადის. მანამდე კი „ტორპედოს“ კაპიტან შოთა ბაბუნაშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ...*

— ბოლნისში მოსაგებად მივდივართ, სხვა შედეგი არც მაინტერესებს. გუნდში მშვენიერი განწყობაა და ვფიქრობ, „სიონის“ დამარცხება შეგვიძლია.

**— მატჩის წინ რაიმეს ხომ არ უჩივით?**

— არა, ყველა ჯანმრთელადაა და, როგორც გითხარი, განწყობაც საბრძოლოა.

**— სეზონის წინ ბევრს წუწუნებდით, გვიჭირსო, მაგრამ ჩემპიონატი კარგად დაიწყეთ და დღემდე ლიდერობთ...**

— ეს ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ... განწყობა ყველაფერზე მაღლა დგას. ყოველი მატჩის წინ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. პირობები არც ახლა გვაქვს ხეირიანი, მაგრამ ჩვენსას ვცდილობთ და რაც გამოგვდის, ყველა ხედავს.

**— კი მაგრამ, პირობები თუ არა გაქვთ, განწყობა ჰაერიდან მოდის?**

— აბა, რა ვქნათ?! პირობები არ გვაქვს, მაგრამ აღარც ვითამაშოთ?!

**— როდემდე გაგრძელდება ასე?**

— რა ვიცი, შეგვიწყობენ ალბათ ხელს და რაღაცა გვეშველება.

**— შეკრება არ გაგივლიათ და თან ჩემპიონატში 44 ტურია სათამაშო. არ გაგიჭირდებათ?**

— ბოლომდე ამ დონეზე თამაში ალბათ ძნელი იქნება, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით, კარგი შედეგი გვქონდეს. რა გამოგვივა, წინასწარ არ ვიცი.

**— ასეთ დღეში მყოფი „ტორპედოსთვის“ სამეულში მოხვედრა მაქსიმუმი იქნება?**

— რა თქმა უნდა. სამეულზე სეზონის წინ ვერც ვიოცნებებდით. პირობებით რამდენიმე გუნდს ძალიან ჩამოვრჩებით და სამეულში თუ მოვხვდებით, ეს ჩვენთვის წარმატება იქნება.

**— როგორც ვიცი, წლეულს „ტორპედოსთან“ კონტრაქტი გიმთავრდება...**

— ზამთრამდე „ტორპედოს“ ვეკუთვნი, მაგრამ მერე რას ვაპირებ, ახლა ვერ გეტყვი, ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ადრეა.

**ბახა შალამბერიძე**

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — 16 — პირველი წრე — 5 ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 2:1 კახეთი |
| სპარტაკი | 2:0 ოლიმპი |

დღეს

ჩიხურა — ბორჯომი

ხვალ

დინამო 2 — ცხინვალი

მაღაროელი — მერანი

ვიტ ჯორჯია — რუსთავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 17:1 | 12 |
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| კახეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:11 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| გურია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| დინამო 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 11:8 | 6 |
| ცხინვალი | 4 | 1 | 2 | 1 | 10:9 | 5 |
| ჩიხურა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ივერია | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| რუსთავი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| საგარეჯო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:13 | 4 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:15 | 4 |
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| მაღაროელი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| ოლიმპი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კაკა: გალიანიმ რეალზე იეჭვიანა



**„მილანმა“** დაადასტურა, რომ ბრაზილიელ კაკასთან 2009 წლამდე გააზანგრძლივა კონტრაქტი. ასე და ამგვარად, ბოლო პერიოდში კაკა გამოდგა მეოთხე, ვისაც იტალიის ჩემპიონმა ასეთი ხელშეკრულება გაუფორმა. კაკამდე ესენი იყვნენ ანდრეი შევჩენკო, კლარენს ზეედორფი და იონ დალ ტომასონი.

ასეთი აჩქარების მიზეზი კი მილანელთა ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის განცხადებით ყოფილა ჭორები, თითქოს ფეხბურთელს „რეალი“ ეკეკლუცებოდა.

„ზუსტად ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა კაკასთვის იგივე, რაც ანდრეი შევჩენკოს, კლარენს ზეედორფს და იონ დალ ტომასონს გავუკეთე“ — ბრძანა გალიანიმ.

შეგახსენებთ, რომ „სან პაულუდან“ ერთი წლის წინ გადაბირებული კაკა „მილანის“ ერთ-ერთ წამყვან ფიგურად ჩამოყალიბდა, იტალიურ ფეხბურთს დიდებულად მოერგო, ჩემპიონიც გახდა და სათადარიგოთა სკამამდე შეავიწროვა ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი, როგორიც მანუელ რუი კოშტა გახლავთ. სხვათა შორის, ეს სწორედ ის კაკაა, რომელსაც სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონში ნათამაშევი ორი შეხვედრის მიხედვით ჯერჯერობით აკრიტიკებენ და ამის შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც“ გვეწერა.

**ბაჩუნა ძიძია**



ივან რუჯერის და ანდრეა მანდორლინის გზები გაიყარა

# რუჯერის ბუტე, ბუტე...

**ქომაგებთან** კონფლიქტის შემდეგ ივან რუჯერი სერია A-ში ახალაღზევებული „ატალანტას“ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ მან ხუთშაბათ საღამოს გამოაცხადა, მისთვის საკმაოდ მომგებიან დროს, იტალიის თასზე „რეჯინასთან“ 4:1 გამარჯვების შემდეგ.

„ამიერიდან კლუბი ძველებურად რუჯერების ოჯახის საკუთრება დარჩება, მაგრამ მე პრეზიდენტობიდან წავალ“ — ბრძანა დიდმოხელემ.

მწვრთნელმა, ანდრეა მანდორლინიმ დაამატა: „ნამდვილად არ ვიცი რა ვთქვა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ძალიან სამწუხარო დღეა“.

ბუნებრივია კითხვა, რას ერჩოდნენ ბერგამოელი ქომაგები თავიანთი გუნდის პატრონს? როგორც ამბობენ, მხოლოდ იმას, რომ რუჯერიმ გაყიდული აბონემენტების რაოდენობით უკმაყოფილება გამოთქვა. იგი როგორც ბიზნესმენი კლუბის გაძლიერებისთვის დახარჯული თანხის გარკვეული ნაწილის ამოღებას, სწორედ აბონემენტების ვაჭრობით აპირებდა, არადა ქომაგებმა მხოლოდ 8 800 წლიური ბილეთი იყიდეს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ...ნაცნობ ლილიანს

## მოდი, ვიყოთ მოკრძალებული მაგრები

*ფაბიო კანავარო ორ პარმასდროინდელ თანაგუნდელს უძღვნის საგანგებო მადლობას. ის ამბობს, რომ „იუვენტუსში“ მისული ახალ გარემოს სწორედ მათი წყალობით შეეგუა იოლად — საუბარია ჯანლუიჯი ბუფონსა და ლილიან ტურამზე*

**შეგახსენებთ,** რომ კანავარო „პარმას“ შემდეგ „ინტერში“ თამაშობდა და ახალი სეზონისთვის სწორედ იქ ემზადებოდა, მაგრამ სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს „იუვენტუსში“ ამოყო თავი და სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის ორ თამაშში შთაბეჭდილებაც ჩინებული მოახდინა.

„ჯიჯი ბუფონთან და ლილიან ტურამთან „პარმას“ დღეებიდან მოყოლებული ვმეგობრობ და ამან, ორი აზრი არ არსებობს, დიდი სამსახური გამიწია, თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ მთლიანად „იუვენტუსმა“ დიდად შემიწყო ხელი“ — განაცხადა 30 წლის კანავარომ, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი ქება-დიდება ჯერ ნაადრევია:

„დასკვნების გამოტანა ჯერ ადრეა, რადგან სულ ერთი-ორი შეხვედრა ჩავატარეთ. მართალია, ჩვენი რწმენით ის, რაც ამ მატჩებში მოგვეთხოვებოდა, გავაკეთეთ, მაგრამ მაინც ადრეა“.

კანავაროს მოსაზრებას სრულიად იზიარებს „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯიც:

„ჩვენი თავდადება და მოკრძალება ბოლომდე უნდა გაგვყვეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად გვესმის, რისი ძალაც შეგვწევს. კანავაროს და მთელი დაცვისაც ძალიან კმაყოფილი გახლავართ. ისინი ცალკე აღებულნიც ჩინებულად თამაშობენ და დანარჩენი ფეხბურთელების კარგი თამაშიც ძალიან უადვილებთ საქმეს“ — დასძინა მოჯიმ.

**ბაჩუნა ძიძია**






ლუჩანო მოჯის ფაბიო კანავაროს ტრანსფერით თავი მოაქვს



# სავიოლას ძილა მრზო ისევ ბარსელონაა

**„ბარსელონას“** ოკეანისგაღმელი მოიერიშე ხავიერ სავიოლა ამჟამად დიდიე დეშანის „მონაკოში“ იჯარით ბურთაობს, თუმცა კატალონიური გრანდის საამსეზონო ბრძოლებს კვლავაც ყურადღებით ეკიდება. ერთ ტელეინტერვიუში სავიოლამ აღნიშნა, „ბარსას“ რამდენიმე მატჩი ვნახე და ჩემი მეგობრების გამარჯვებებმა ძალიან გამახარა. მე მათ ყოველივე კარგს ვუსურვებ და შესანიშნავი იქნება, თუ მომავალში მათ შევუერთდებიო.

სავიოლას „ლუი II-ზე“ გადაბარგებას პოლემიკაც მოჰყვა, მაგრამ აწ უკვე დიდიე დეშანის შეგირდი ამის თაობაზე ჟურნალისტებს საკმაოდ ბუნდოვნად პასუხობს: „ჩემი „მონაკოში“ გადასვლით მედიის დაინტერესება თანდათან უფრო მომაბეზრებელი ხდება. დროებით ერთი გუნდის ნაცვლად მეორეში ვთამაშობ და აქ განსაკუთრებული არაფერია. ჩემი აზრით კამათს აზრი არ აქვს. თუ „ბარსელონაში“ დავბრუნდები, ძირითად შემადგენლობაში ალბათ უპრობლემოდ ვითამაშებ. იქაურ ქომაგებთან და ჩემს თანაგუნდელებთან ბრწყინვალე ურთიერთობანი მაქვს“.

არგენტინელის ფრანგული დებიუტი გასულ კვირას „სტრასბურთან“ შედგა და ხავიერმა მონაკოელობა პირველი გოლით აღნიშნა. ჩემპიონთა ლიგაში კი წინა სეზონში მიღებული სანქციის გამო არ უთამაშია.

„ახალ კლუბს კარგად შევეთვისე. ვგონებ, ისეთივე იღბლიანი სეზონი მექნება, როგორიც ფერნანდო მორიენტესს ჰქონდა“ — დასძენს ბოლოს სავიოლა.

**ლადო ხომერიძი**

# მოსალოდნელი მოხდა

## პეკერმანმა ბიელსას ნასაქმარი უქო

*არგენტინის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ხოსე პეკერმანი. ის თანამდებობაზე შეცვლის მარსელო ბიელსას, რომელმაც სამშაბათს განაცხადა გადადგომის შესახებ. პეკერმანი დიდხანს არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში, ამიერიდან კი მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევი შეჯიბრების ბოლომდე ეროვნულ გუნდს გაუძღვება და მისი კონტრაქტის ვადა იმ შემთხვევაში გახანგრძლივდება, თუ არგენტინელები 2006 წელს გერმანიაში გამგზავრების უფლებას მოიპოვებენ*



ხულიო გრონდონას ხოსე პეკერმანი (მარჯვნივ) არგენტინის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანს დაჰპირდა

**„საბედნიეროდ,** ბატონი ხოსე პეკერმანი ისევ არგენტინული ფეხბურთის წვენში იხარშება. ჩვენ მას დიდ წარმატებებს ვუსურვებთ, კარგად ვიცნობთ, ვიცით რა ნიჭისა და უნარის ადამიანიც ბრძანდება და პირადად მე ძალიან მახარებს მისი ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა“ — განაცხადა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ.

თავად პეკერმანს კი ძალიან გაუკვირდა მისთვის მოულოდნელ თანამდებობაზე აღმოჩენა:

„ამწუთას უცნაური, შერეული გრძნობა მაქვს — თქვა ახალმა მწვრთნელმა — აქ, არგენტინული ფეხბურთის სათავეებთან ბევრი მნიშვნელოვანი რამ განმიცდია და გადამიტანია. ათი წელიწადი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად ვმუშაობდი და დღეს დაბრუნება ძალიან მახარებს. ყველა ღონეს ვიხმარ ხულიო გრონდონას იმედი რომ გავუმართლო. ვიცი, რომ იგი ყოველთვის ძლიერ მენდობოდა, მაგრამ მეორე მხრივ ამ ყველაფერმა საშინლად გამაოცა, რაც მოხდა სრულიად მოულოდნელი იყო“.

ცხადია, როგორც ზრდილმა ადამიანმა, პეკერმანმა წინამორბედს, მარსელო ბიელსას დიდი მადლობა გადაუხადა სამუშაოსთვის, რომელიც მან გუნდისთვის გასწია. პეკერმანმა თქვა:

„ის იდეურად ჩემი ახლობელია, მან უდიდესი სამუშაო შეასრულა და იკისრა მთელი პასუხისმგებლობა ამ თანამდებობას რომ ახლავს. მე და ბიელსას ფეხბურთზე ერთნაირი შეხედულებები გვაქვს. ახლა მე ვაპირებ ფეხბურთელებს გადავცე ის, რაც თავად დიდი ხანია ვიცი. დიდ გამარჯვებებამდე მხოლოდ მოყვარული, ენთუზიასტი სპორტსმენის სულისკვეთება მიგვიყვანს. დღეს ცხრილის შუაში ვართ და გამოწვევას ვიღებთ. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა“.

ხოლო ცნობილ ფეხბურთელებს, პაბლო აიმარსა და რობერტო აიალას ძველ მწვრთნელზე დასწყდათ გული:

„ბიელსა დიდებული მწვრთნელი და დიდებული ადამიანია. განსაკუთრებით მის მეორე თვისებას მინდა გავუსვა ხაზი. ფეხბურთი ყოველთვის კამათს იწვევს. ნებისმიერი გუნდის თამაშზე შეიძლება როგორც ასე, ასევე ისე თქმა, მაგრამ ის, რომ ბიელსა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელია, ეჭვი არ არის“ — განაცხადა აიმარმა.

აიალა: „ბიელსას ხელში ჩვენ იმ ფეხბურთს ვთამაშობდით, რომელიც არგენტინაში უყვართ. გარდა ამისა, გვქონდა დადებითი შედეგებიც, მაგრამ მწვრთნელმა დამირეკა და მითხრა, რომ გადადგომას აპირებდა და საამისო მიზეზი ჰქონდა. მან მთხოვა ბიჭებისთვის მეთქვა, რომ მიდის. მას არ უნდოდა თავისთვის უგულოდ მუშაობა ეკადრებინა, მე კი ყველაფერი ეს ძალიან მაკვირვებს და საერთოდ, ამ მწვრთნელის სტილთან გაიგივებული მქონდა თავი“.

**ბაჩუნა ძიძია**

### ფეხბურთის რუკასთან

**ესპანეთის** ერთ-ერთმა წამყვანმა კვლევის ცენტრმა საკმაოდ საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა — რესპოდენტთა 45,6 პროცენტს ჰგონია, რომ პრიმერადივიზიონს მადრიდის „რეალი“ მოიგებს. შემდეგ მოდიან „ბარსელონა“ — 24,9, „ვალენსია“ — 18, „ატლეტიკო“ — 4,4 და „დეპორტივო“ — 3,1. ასევე უმეტესობის, 42,6 პროცენტის აზრით, რონალდო ყველაზე მეტ გოლს გაიტანს. „კიჭას“ საგრძნობლად ჩამორჩებიან რონალდინიო, რაული და ფერნანდო ტორესი. გამოკითხულთა 22,3 პროცენტი თვლის, რომ ზაფხულის საუკეთესო შენაძენი ვალტერ სამუელი იყო, ხოლო 17,5 პროცენტი სამუელ ეტოოსკენ იხრება. გარდა ამისა, გამოკითხულები ერთხმად მიიჩნევენ, რომ ჩემპიონთა ლიგას მადრიდის „რეალი“ მოიგებს, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშე არა რომელიმე მადრიდელი, არამედ რონალდინიო გახდება.

**სერბული** „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი ლიუბომირ პეტროვიჩი უეფას თასზე სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ სამარცხვინო მარცხის (0:4) შემდეგ, პოსტის დატოვებაზე ფიქრობს. ბელგრადელთა პრეზიდენტი დრაგან ჯაიჩი კი ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს: „რა თქმა უნდა, ასეთ შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ ამის გამო ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. შექმნილი ვითარებიდან ერთად უნდა ვიპოვოთ გამოსავალი“ — თქვა ჯაიჩმა. შეგახსენებთ, რომ პეტროვიჩი სწორედ ის მწვრთნელია, რომელმაც „ცრვენა ზვეზდას“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილმა თავკაცმა ოლეგ რომანცევმა განაცხადა, „დინამომ“ მართლაც შემომთავაზა კონტრაქტი, მაგრამ ჯერ ხელი არ მომიწერიაო. „გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ ახლა აღარც ჩვეულებრივი მაყურებელი ვარ. ბუნებრივია, შაბათს „დინამოსა“ და „ამკარის“ შეხვედრას დავესწრები. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია, უბრალოდ, აზრის გამოთქმა მთხოვეს, რაც ჩემთვის სასიამოვნოა. რაც შეეხება მომავალ გეგმებს, ერთი წლის შემდეგ მწვრთნელობას დავუბრუნდები. არაფერს გამოვრიცხავ, რადგანაც წინადადებები ახლაც მქონდა ესპანეთიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, კორეიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან“ — განაცხადა რომანცევმა.

**სალვადორის** ნაკრების მთავარ მწვრთნელად არმანდო კონტრერას პალმა დაინიშნა. იქაური ფეხბურთის მამები პალმას 2006 წლის მუნდიალის საგზურისთვის გაბრძოლებას სთხოვენ. უკვე საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი აქამდე სალვადორის სხვადასხვა ასაკის ნაკრებების კონსულტანტად მუშაობდა.

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერის“ მცველ რიო ფერდინადს რვათვიანი დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა. დოპინგის მიღებაში ეჭვმიტანილ ფეხბურთელს ორშაბათს „ლივერპულის“ წინააღმდეგ თამაში შეუძლია. „ბოლო დროს დიდი დატვირთვით ვვარჯიშობდი. გარდა ამისა, ფაქტობრივად აღარც ალკოჰოლურ სასმელებს ვეკარები. ჯერ არასდროს ვყოფილვარ ფეხბურთზე ასე კონცენტრირებული“ — აღნიშნა ფერდინანდმა.

**გერმანულ** „ვოლფსბურგს“ უახლოესი ორი კვირის მანძილზე წამყვანი ფეხბურთელები — ანდრეს დალესანდრო და მარიან ხრისტოვი დააკლდებიან. უკვე გადაწყვეტილია, რომ ისინი უქმეებზე „ჰანზასთან“ მატჩს გამოტოვებენ. შეგახსენებთ, რომ ამჟამად „მგლები“ ბუნდესლიგის ლიდერ „შტუტგარტს“ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

**ინგლისურმა** „არსენალმა“ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ნახევარმცველ ფრანსისკ ფაბრეგასთან ახალი, მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 17 წლის ესპანელის დებიუტი პრემიერლიგაში უკვე შედგა და საკმაოდ შთამბეჭდავადაც. მან თითქმის უპრობლემოდ შეცვალა თვით პატრიკ ვიეირა.

**ბრაზილიური** „სანტოსის“ პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ კლუბის ლიდერ რობინიოსადმი „ჩელსის“ ინტერესი ოფიციალურად დაადასტურა. როგორც ირკვევა, რომან აბრამოვიჩი 12 მილიონი ევროს გადახდაზეც კი ყაბულს იყო, მაგრამ რობინიოს „სანტოსთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და კლუბი მის გაყიდვას ჯერ არ გეგმავს.

**პორტუგალიის** ნაკრებისა და „მანჩესტერის“ ვარსკვლავი კრისტიანო რონალდო შესაძლოა, რუსეთში ან უკრაინაში გვეხილა, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავის დროზე იქაურ კლუბებს მასზე უარი უთქვამთ. „არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც კარგად თამაში მხოლოდ ერთ ან ორ კლუბში შეუძლიათ. შეიძლება, რონალდოც ასეთია და ამიტომ დაიწუნეს. ასე თუ ისე, არც ისე დიდი ხნის წინ, როცა იგი ჯერ კიდევ „სპორტინგში“ თამაშობდა და რამდენიმე მილიონი ღირდა, მე უკრაინულ და რუსულ კლუბებთან მოლაპარაკება ვცადე, მაგრამ მათ უარით გამომისტუმრეს. ახლა კი რონალდო „მანჩესტერის“ ვარსკვლავია“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა.

# პელეს ფული შემოაკლდა




**მაგარ** ამბებს ელიან მომავალ კვირას ლონდონში. საქმე ისაა, რომ საქვეყნოდ ცნობილ „კრისტის“ აუქციონზე ლეგენდარული პელე იმ მაისურას ჰყიდის, 17 წლის ასაკში შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი რომ გაიტანა.

მაისურა, რომელიც პელეს იმ დღეს ემოსა, არც მეტი, არც ნაკლები 100 000 გირვანქად ანუ 180 000 დოლარადაა შეფასებული.

რა გაუჭირდა ასეთი ფეხბურთის მეფეს, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, აუცილებლად გამოჩნდება მავანი გიჟმაჟი მილიონერი და ფულსაც დაუნანებლად გადაიხდის თუ გადარიცხავს. სხვა თუ არაფერი, მეფის ნაცვამი კვართის შეძენა პრესტიჟის ამბავია.

პელე პელეა, მაგრამ აუქციონზე კიდევ ორი ლეგენდარული ფეხბურთელის მაისურა გაიყიდება და ერთი ოქროს მედალიც.

ხომ გახსოვთ რობერტო ბაჯო, დიდი იტალიელი ათიანი. მაშინ, 1994 წელიც გემახსოვრებათ და ამერიკულ პასადენაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, კიკინიანმა ბუდისტმა ბრაზილიელი ტაფარელის კარს გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი კაი გვარიანად რომააცილა. ჰოდა, სწორედ ბაჯოს იმ ფინალში ნაცვამი მაისურა იყიდება.

„ბაზარზე გავიდა“ პოლ გესქოინიც, მსოფლიოს 1990 წლის ნახევარფინალში, გერმანელებთან ნაცვამი მაისურით.

მედალი კი 1906 წლისაა, ინგლისის ასოციაციის თასის მომგებისთვის რომ იყო დაწესებული.

და ერთიც, პელემ ორი წლის წინათაც გაყიდა ოქროს მაისურა — მარტში, იმავე „კრისტის“ აუქციონზე, მავანმა ფულიანმა ბიძამ ტელეფონით, 283 100 დოლარად (157 750 გირვანქა) შეიძინა 1970 წლის ფინალში ნაცვამი, რელიქვიური სამოსი.

**გიორგი ვაშაკიძე**

რეკლამა
სარბიელ – ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# იტალია

პაპუნა კაჭია

## ფავორიტების მეორე გამოცდა

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლეჩე | : | ბრეშა |
| ინტერი | : | პალერმო |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | : | მილანი |
| ფიორენტინა | : | კალიარი |
| იუვენტუსი | : | ატალანტა |
| ლაციო | : | რეჯინა |
| ლივორნო | : | კიევო |
| მესინა | : | რომა |
| სიენა | : | სამპდორია |
| უდინეზე | : | პარმა |

| სადღეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პალერმო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კალიარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ატალანტა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ინტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კიევო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლივორნო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მესინა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რეჯინა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სიენა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბრეშა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |



შეეშველება ხვალ ინძაგი „მილანს“?

**„ლივორნოსთან“** ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ ჩემპიონი „მილანი“ ბოლონიაში მიდის, სადაც ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, თორემ კრახს, გამარჯვებებს ნაჩვევი, განებივრებული ქომაგები ძნელად თუ აპატიებენ და პრესაშიც ერთი ამბავი ატყდება. და კიდევ ერთი: „მილანის“ სავარაუდო შემადგენლობაში კვლავ არ წერია კახა კალაძე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მთავარ ფეხბურთელს ბოლოს ისევ 8 სექტემბერს, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ალბანეთთან ექნება ნათამაშევი. არადა, ხვალ უკვე 19 სექტემბერია, იქნებ ვინმემ თქვას, მერე რა, კალაძე 13 ოქტომბერს უკრაინასთან დისკვალიფიკაციის გამო მაინც ვერ ითამაშებს, 17 ნოემბრამდე, კი (როდესაც თბილისში დანია ჩამოდის) ჯერ დიდი დროაო, მაგრამ კალაძე ხომ ტრავმირებული არ არის, მისი ძირითადში დაბრუნება მხოლოდ დროის ამბავი რომ იყოს. მოკლედ, აქ, რაღაც ცუდი ტენდენცია იკვეთება, არადა თუ არ ითამაშე, გინდა კალაძე იყავი, გინდა ზიდანი და გინდა ამ სიტყვების ავტორი... თუ არ თამაშობ, მაყურებელი გამოდიხარ, არადა ჩვენს ნაკრებში კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები გვჭირდება...

ერთი სიტყვით, „მილანის“ მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი გვაბრაზებს და თან მეკარის პრობლემაზე ფიქრობს: ძირითადი მეკარე, დიდა, ხომ „ლივორნოსთან“ შეხვედრის დასაწყისშივე გააძევეს მოედნიდან და მას მერე, მის მაგივრად კრისტიან აბიატი დგას, ფეხბურთელი, რომელმაც რომ შეატყო, კალაძის დღეში ვარო, რამდენიმე კვირის წინ ტრანსფერი მოითხოვა. ერთი სიტყვით, აბიატისაც პრაქტიკის ნაკლებობა აწუხებს.

არ არის გამორიცხული, ამ შეხვედრაში მოედანს ექიმების კაბინეტებში ნაწვალები ფილიპო ინძაგი დაუბრუნდეს, ხოლო რაც შეეხება „ბოლონიას“, მას თომას ლოკატელის კოჭის ამბავი აქვს გასარკვევი, ჯაკომო ჩიპრიანისთან დაკავშირებით კი აღარაფერი აეჭვებს — ჩიპრიანი სამი დღეა ველარ ვარჯიშობს, რადგან მუხლი ტკივა. საეჭვოა ბარძაყმტკივანი ფაბიო პეტრუცის თამაშ-ვერთამაშის საქმეც.

„იუვენტუსმა“ სეზონი ბრეშაში 3:0-ის მოგებით რომ დაიწყო, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში, ამსტერდამში „აიაქსს“ 1:0 მოუგო და ახლა, სრულიად მოლონიერებული „დელე ალპიზე“ „ატალანტას“ ელოდება. „ბებერი ქალბატონის“ თავდასხმაში, ამსტერდამის მატჩისგან განსხვავებით, ზლატან იბრაჰიმოვიჩის მაგივრად დავიდ ტრეზეგეს ვიხილავთ.

„ინტერი“, სკუდეტოს მესამე მთავარი ფავორიტი, „სან სიროზე“ „პალერმოს“ ელის. ისევე, როგორც თანაქალაქელმა და საძულველმა „მილანმა“, „ინტერმაც“ 2:2 ითამაშა პირველ ტურში. ეს მან ვერონაში, „კიევოსთან“ შეხვედრაში გააკეთა და ძალიან უკმაყოფილი დარჩა, უპირველეს ყოვლისა თავის მცველთა თამაშით.

მოგეხსენებათ, „შავ-ლურჯების“ ახალი მწვრთნელი, რობერტო მანჩინი თავდასხმაში კრისტიან ვიერისა და ადრიანოს წყვილს ათამაშებს. საინტერესო ისიც არის, რომ იტალიაში ძალიან ბევრნი ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ ამ, დაახლოებით ერთი სტილით მოთამაშე ორ ფორვარდს მოედანზე პარტნიორობის პერსპექტივა არ აქვთ და რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ „მანჩო“ თავისას ამტკიცებს და სავარაუდოდ, თავის პრინციპს არც ამ საღამოს, საქართველოს დროით თერთმეტის ნახევარზე ულალატებს.

და რას იზამს „პალერმო“, რომელიც სერია A-ში 30 წელიწადია არ ყოფილა, ხოლო გასულ სეზონში, როდესაც ჩინებულად ათამაშდა და უძლიერესთა ლიგაში აღზევდა, 22 გამარჯვებიდან სტუმრად მხოლოდ ხუთი მოიგო? თუმცა, ნუ დავივიწყებთ, რომ სიცილიელებს ლუკა ტონი ჰყავთ. ახლა უკვე იტალიის ნაკრების წევრი და გასულ სეზონში 30 გოლის ავტორი.

დაბოლოს, საინტერესოა, რას იზამს ამ შემოდგომაზე, ჭკუას გადაცდენილი „რომა“, რომელსაც ხან გახულიგნებული ანტონიო კასანოს ყოფაქცევის პრობლემა აქვს და ხან გახელებული ქომაგები ჩემპიონთა ლიგის მატჩებს უშლიან. იგი მესინაში მიემგზავრება და „პარმადან“ გადმოყვანილ მცველს, მატეო ფერარის მოუწყობს დებიუტს.

# ინგლისი

ირაკლი [illegible]

ქართული წიგნის ბიბლიოთეკა





სერ ალექსს დაცვა გაუმყარდება: რიო ფერდინანდი უბრუნდება

## შენ მაინც არ გადამრიო, რიო!

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | ბოლტონი |
| ბირმინგემი | : | ჩარლტონი |
| ბლექბერნი | : | პორტსმუთი |
| კრ. პალასი | : | სიტი |
| ნორვიჩი | : | ასტონ ვილა |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| საუთჰემპტონი | : | ნიუკასლი |
| ევერტონი | : | მიდლსბრო |
| ჩელსი | : | ტოტენჰემი |
| **ზეგ** | | |
| მანჩესტერი | : | ლივერპული |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:5 | 15 |
| ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ბოლტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| მიდლსბრო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 10 |
| ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| ტოტენჰემი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| ასტონ ვილა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| პორტსმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ჩარლტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| მანჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ნიუკასლი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 5 |
| სიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:5 | 4 |
| ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ბლექბერნი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | 2 |
| კრ.პალასი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

**ლონდონის** „არსენალი“, რომელიც სეზონში 100-პროცენტიანი შედეგიანობის და წაუგებელ მატჩთა სერიის 46-მდე გაზრდას ეშურება, მესამე ადგილზე უცნაურად წამოსკუპებულ „ბოლტონს“ მასპინძლობს. თანაც დედაქალაქელებს დაუბრუნდებათ ფრედი ლიუნგბერგი, ვინაც საჩემპიონთალიგო შეხვედრა ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა. ეს გარემოება კი „მეთოფეთა“ გამარჯვების ისედაც დიდ შანსს კიდევ უფრო ზრდის.

„ბოლტონმა“ კი სეზონის სტარტზე გიგანტთა მკვლელის სახელი დაიგდო, რაკი ჯერ „ლივერპულს“ წაართვა სამი ქულა, მერე კი „მანჩესტერს“ დააკარგვინა ორი. საამმატჩოდ კი მენეჯერ სემ ალარდაისს ფეხბურთელები გაუფრთხილებია, „არსენალთან“ მატჩში ყურადღების წამით მოდუნებაც დაგვღუპავს და ფრთხილად იყავითო.

ცხრილში ამათ შორის მოქცეულა „ჩელსი“, რომლის ახალი მენეჯერი ჟოზე მაურინიუც, მოგეხსენებათ, ყველაფრის მოგებით იქადნება. ამ ტურში „ჩელსი“ „ტოტენჰემს“ მასპინძლობს. აქ ერთი მეტად საინტერესო ფაქტის ხსენებაა უპრიანი — „ტოტენჰემმა“ მეტოქე ბოლოს 1990 წელს დაამარცხა, მას მერე კი 28-ჯერ შეხვდა და ვერაფერს გახდა.

ერთმანეთს გაეჯიბრებიან სხვა დაწინაურებულებიც, „ევერტონი“ და „მიდლსბრო“. სტუმრებს დაუბრუნდებათ გაისკა მენდიეტა და უგო ეჰიოგუ, რომლებიც კუნთს იტკიებდნენ და ამის გამო ვერ ითამაშეს უეფას თასზე ჩეხურ ბანიკთან“. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბორო“ ამ ფეხბურთელების გარეშეც იოლად გაუსწორდა ჩეხეთის ჩემპიონს, მივილებთ, რომ „ევერტონს“ მძიმე მატჩი ელის.

და სად არის „მანჩესტერ იუნაიტედი“? ის მეთერთმეტე ადგილზეა და ამ ტურში „ლივერპულს“ ხვდება. ამათი შებმა კი როდის ყოფილა უინტერესო, ახლა რომ იყოს.

დრო სწრაფად გარბის და „იუნაიტედს“ ორშაბათის მატჩისთვის დაუბრუნდება რიო ფერდინანდი, რომელიც მთელი რვა თვით იყო მოკვეთილი დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობის გამო.

თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ეგებ ის იყოს, რომ რუუდ ვან ნისტელროოიმ როგორც იქნა, გოლების გატანა დაიწყო და ვინძლო „მანჩესტერმა“ მოგებაც დაიწყოს ზედიზედ ოთხი ფრის მერე.

ყურადსაღები მატჩია ლონდონში „კრისტალ პალასსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის. აქ ინტრიგა იმაში მდგომარეობს, რომ „სიტის“ მენეჯერ კევინ კიგანს გაშვებით ემუქრებიან სასტარტო მწირშედეგიანობის გაუმჯობესება თუ ვერ მოახერხა. ისიც ითქვა, ვაითუ სწორედ „კრისტალ პალასთან“ მატჩი გამოდგეს „მიკი მაუსისთვის“ საბედისწეროო. მაგრამ ეგებ კიგანი გადარჩეს — „კრისტალ პალასს“ ხომ პირველ ტურში „ნორვიჩ სიტისთან“ ფრის მერე, ქულა ველარ აულია.

ამასობაში „ბლექბერნ როვერსს“ პირველად უმეთაურებს ახალი მენეჯერი მარკ ჰიუზი, ვინაც ოთხშაბათს დაინიშნა ამ პოსტზე. ჰიუზს პირველი გამოცდა „პორტსმუთთან“ ელის, რომელსაც ჰოლანდიელი მცველი არიან დე ზეუვი გამოაკლდა ექვსი კვირით, მაგრამ კონგოელი ლომანა-ტრეზორ ლუა ლუა დაუბრუნდა და დიდ გულზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## იარას ოქტომბერი სექტემბერში შეხვდა

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლაუტერნი | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | ბაიერნი |
| არმინია | : | მაინცი |
| ლევერკუზენი | : | ნიურნბერგი |
| ჰანზა | : | ვოლფსბურგი |
| შალკე | : | გლადბახი |
| ვერდერი | : | ჰანოვერი |
| **ხვალ** | | |
| ფრაიბურგი | : | ბოხუმი |
| ჰერტა | : | შტუტგარტი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| ვოლფსბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| ბოხუმი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 6 |
| ფრაიბურგი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ნიურნბერგი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| გლადბახი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ჰერტა | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ჰანზა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ლაუტერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 3 |
| ჰამბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| შალკე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| ჰანოვერი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| არმინია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |



ნუ გამოვრიცხავთ, ტორსტენ ფრინგსს ალბათ დორტმუნდელი ქომაგი ესიზმრება

**დორტმუნდის** „ვესტფალენშტადიონზე“ დღეს სტვენა და ტორსტენ ფრინგსის გინება იქნება, რადგან „ბორუსიას“ ფეხბურთელი გასულ ზაფხულს დორტმუნდიდან მიუნხენის „ბაიერნში“ გადაბარგდა.

„შავ-ყვითლებს“ ამ სეზონში შინ მატჩი არ მოუგიათ, „ბაიერნმა“ კი ბოლო ორი წლის განმავლობაში „ვესტფალენშტადიონზე“ ორივე შეხვედრა ისე წააგო, რომ გოლი ვერ გაიტანა.

კაიზერსლაუტერნში კლაუს ტოპმიოლერის „ჰამბურგს“ დაუხვდებიან. მასპინძლებს კურტ იარა თავკაცობს, რომელი შარშან „ჰამბურგს“ წვრთნიდა და ოქტომბერში სწორედ „კაიზერთან“ მარცხის შემდეგ მოხსნეს.

სტუმრებს ტრავმირებული ბერნარდო რომეო და ბენჟამინ ლაუტი დააკლდებიან და თუ წააგეს, ტოპმიოლერს ალბათ სხვა სამუშაოს ძებნა მოუწევს. ორივე გუნდს უსუსტესი დაცვა ჰყავს: დამხვდურებს 9, მათ დღევანდელ მეტოქეს კი 10 გოლი აქვთ გაშვებული, რაც ოთხი ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში ყველაზე უარესი შედეგია.

როსტოკის „ჰანზა“ მეორე ადგილზე გამოჭიმულ „ვოლფსბურგს“ მიიღებს. როსტოკელებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ, ხოლო „მგლებს“ წინა ტურში დუბლის შემსრულებელი მარიან ხრისტოვი დააკლდებათ — ბულგარელ ფორვარდს მუხლი სტკივა.

გელზენკირხენის „შალკე“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ უმასპინძლებს. „ხუმარები“ ბოლოდან მესამე ადგილზე არიან. კლუბის მენეჯერმა და იმავდროულად სულმა და გულმა რუდი ასაუერმა იუპ ჰაინკესს ცუდი დასაწყისი არ აპატია და თანამდებობიდან გაათავისუფლა. უეფას თასის მატჩში ლატვიური „მეტალურგსის“ წინააღმდეგ „შალკეს“ ედი ახტერბერგმა და ოლივერ რეკმა უთავკაცეს. ეს წყვილი გუნდს დღევანდელ შეხვედრაშიც უხელმძღვანელებს. მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული აილტონი, ხოლო სტუმრებს სლოვაკი ნახევარმცველი იგორ დემო დააკლდებათ. აღსანიშნავია, რომ გელზენკირხენში მიონხენგლადბახელთა ბოლო ხუთი სტუმრობა „შალკეს“ გამარჯვებით დასრულდა.

ჩემპიონი „ვერდერი“ „ინტერთან“ მარცხის შემდეგ გუნების გამოკეთებას მაჩანჩალა „ჰანოვერთან“ მოგებით აპირებს. „მუსიკოსებს“ უმით დავალა და ფრანკ ბაუმანი ტრავმირებული ჰყავთ, ხოლო სტუმრები კამერუნელ მეგოლე მოჰამადუ იდრისუს მოისაკლისებენ. აქვე გავიხსენოთ, რომ „ვერდერმა“ შარშან და შარშანწინ შინ „ჰანოვერს“ ვერ მოუგო.

ბუნდესლიგაში ჯერჯერობით ოთხი დაუმარცხებელი გუნდია და მათ შორისაა ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგიც“, რომელსაც საკუთარ სტადიონზე „ბოხუმთან“ 1996 წლის შემდეგ არ წაუგია. ბოხუმელები ფრაიბურგს დაშავებული პეტერ მადსენის გარეშე ეწვევიან.

ყველაზე ფრიანი გუნდი ბერლინის „ჰერტაა“, ოთხ ტურში მეტოქეებს ოთხჯერვე რომ დაუზავდა და საინტერესოა, ბურთების შეფარდებაც 4-4-ზე აქვს. დედაქალაქელებს ლიდერი „შტუტგარტი“ ეწვევათ, რომელიც „უიპეშტთან“ გამარჯვების შემდეგ კარგ გუნებაზეა.

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## მესამე მატჩი

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალენსია | : | სოსიედადი |
| ესპანიოლი | : | რეალი |
| ოსასუნა | : | ბეტისი |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | : | დეპორტივო |
| ატლეტიკო | : | ბარსელონა |
| რასინგი | : | ვილიარეალი |
| სევილია | : | ლევანტე |
| სარაგოსა | : | ალბასეტე |
| მალიორკა | : | მალაგა |
| ნუმანსია | : | ხეტაფე |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ოსასუნა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ლევანტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სარაგოსა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ბილბაო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| სოსიედადი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ნუმანსია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვილიარეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| მალაგა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ხეტაფე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ალბასეტე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| რასინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |



რონალდინიო

**ტურის** მთავარი შეხვედრა მადრიდშია — „ვისენტე კალდერონზე“ ლიდერები, „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“ შეეტოქებიან.

საზოგადოდ, ამ ორი უძველესი და ტიტულიანი კლუბის ჯახი სუპერკლასიკოსა და მადრიდული დერბის შემდეგ, მესამე მატჩადაა აღიარებული.

„ატლეტიკოს“ ლაზარეთში გარსია კალვო, ანტონიო ლოპესი და სერბი ველიკო პაუნოვიჩი ჰყავს, „ბარსა“ კი სრული საბრძოლო შემადგენლობითაა რონალდინიოს თამადობით.



ხოსე ანტონიო კამაჩოს საფიქრალი მიეძალა

„ლევერკუზენთან“ შერცხვენილი „რეალი“ „ესპანიოლს“ სტუმრობს და ფსიქოლოგიურად მოშლილ გუნდს წამყვანი ფეხბურთელები, მიჩელ სალგადო, ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი დააკლდებიან, მათ ტრავმები აწუხებთ.

ხოსე ანტონიო კამაჩოსაც სხვა რა გზა დარჩენია, მათი შემცვლელები უნდა მოძებნოს. ზიდანს ალბათ, არგენტინელი სანტიაგო სოლარი შეცვლის, სალგადოს ადგილზე ანუ მარჯვენა მცველად მეხია მეხია გამწესდება. აი, ვინ ითამაშებს ფიგუს ნაცვლად, კამაჩოს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია.

მასპინძელთა მწვრთნელ მიგელ ანხელ ლოტინას კი უხარია, რამეთუ არგენტინელმა მცველმა უგო იბარამ ტრავმა მოირჩინა.

ჩემპიონი „ვალენსია“ „სოსიედადს“ უმასპინძლებს. კლაუდიო რანიერი სავარაუდოდ თანამემამულეებს — სტეფანო ფიორესა და მარკო დი ვაიოს ათამაშებს, ხოლო დავიდ ალბელდას ბურთაობა საეჭვოა, მას მუხლის ტრავმა აწუხებს.

„სოსიედადს“ ფრანგი ჟერემი ბრეშე გამოუჯანმრთელდა, თუმც ოსკარ დე პაულა და დარკო კოვაჩევიჩი ვერ დაეხმარებიან, ამათაც ალბელდასი არ იყოს, მუხლი სტკივათ.

სესარ ფერანდოს „ატლეტიკო“ ლაზარეთში მყოფი გარსია კალვოს, ანტონიო ლაპერისა და ჰაუნოვიჩის გამოკლებით ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ „უმასპინძლებს. კატალონელთა ჯადოქარ რონალდინიოს პრიმერას ორ დასაწყის მატჩში არ უბურთავია და იქაურებიც ოკეანისგაღმელი ოქროს გაუჩოდან ოქროს შედეგს ელოდებიან. „ბარსა“ „ვისენტე კალდეროს“ საბრძოლო შემადგენლობით ეწვევა.

## უეფას თასი 2004-2005. მესამე ეტაპი. პირველი [illegible]

# რატომ იჩხუბა სვანმა

## პანიონიოსს სამი თავი აქვს



ნიუკასლი — ჰაპოელი. აბას სვანი (№8) და ნიკი ბათი მსაჯმა წითელი ბარათებით დააშოშმინა

**უეფას თასზე** მოთამაშე პირველი არაბული გუნდი „სენტ ჯეიმსიზ“ პარკზე „ნიუკასლთან“ დამარცხდა. ბნეი საჰნინის „ჰაპოელს“ ორივე გოლი პატრიკ კლუივერტმა გაუტანა. ალან შირერი და კრეიგ ბელამი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, შეცვლაზე შესულმა ნიკი ბათმა კი მეტოქის საცემრად გაიწია.

| 10.00 | 630 | ივატა-კაშიმა | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 11.00 | 631 | კობე-გამბა | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,69 | 1,22 | 1,17 |
| 14.00 | 632 | ვერდი-ნაგოია | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 14.00 | 633 | ურავა-ნიიგატა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 10.00 | 634 | კაშივა-ტოკიო | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| 10.30 | 635 | ჩერეძო-იჩიჰარა | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 1081 | ჰვ 71-მალმიო | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 21.00 | 1082 | ლულეო-ტიმრე | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 21.00 | 1083 | მორა-ფერიესტადი | 3,5 | 4,6 | 1,6 | 1,98 | 1,09 | 1,18 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5017 | არსენალი-ბოლტონი | 1,4 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,33 |
| 5018 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5019 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5020 | კრისტალ პალასი-სიტი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5021 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 3,2 | 2,05 | 3,0 | 1,24 | 1,54 | 1,21 |
| 5022 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5023 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 3,3 | 2,05 | 2,9 | 1,26 | 1,54 | 1,2 |
| 5024 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5025 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5026 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5035 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,8 | 2,35 | 5,6 | 1,01 | 1,36 | 1,65 |
| 5036 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5037 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,05 | 2,15 | 5,3 | 1,04 | 1,47 | 1,52 |
| 5038 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5039 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5040 | არმინია-მაინცი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5041 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5042 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5043 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5044 | ლეჩე-ბრეშა | 2,45 | 2,0 | 4,2 | 1,1 | 1,54 | 1,35 |
| 5045 | ინტერი-პალერმო | 1,65 | 2,5 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,84 |
| 5046 | ბოლონია-მილანი | 5,3 | 2,15 | 2,05 | 1,52 | 1,27 | 1,04 |
| 5047 | ფიორენტინა-კალიარი | 1,05 | 2,2 | 15,0 | [illegible] | [illegible] | 1,57 |
| 5048 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,11 | [illegible] |
| 5049 | ლაციო-რეჯინა | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5050 | ლივორნო-კიევო | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5051 | მესინა-რომა | 4,4 | 2,0 | 2,4 | 1,37 | 1,55 | 1,09 |
| 5052 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,05 | 3,2 | 1,21 | 1,54 | 1,24 |
| 5053 | უდინეზე-პარმა | 2,7 | 2,0 | 3,6 | 1,14 | 1,54 | 1,28 |
| 5054 | ოსასუნა-ბეტისი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5055 | ესპანიოლი-რეალი | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5056 | ვალენსია-სოსიედადი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5057 | მალიორკა-მალაგა | 2,45 | 2,0 | 4,2 | 1,1 | 1,54 | 1,35 |
| 5058 | ნუმანსია-ხეტაფე | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5059 | რასინგი-ვილიარეალი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5060 | სევილია-ლევანტე | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5061 | სარაგოსა-ალბასეტე | 2,0 | 2,0 | 5,0 | 1 | 1,42 | 1,42 |
| 5062 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1,29 | 1,52 | 1,16 |
| 5063 | ბილბაო-დეპორტივო | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5417 | არსენალი-ბოლტონი | 1,15 | 4,0 |
| 5418 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 1,7 | 2,2 |
| 5419 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,8 | 2,0 |
| 5420 | კრისტალ პალასი-სიტი | 1,9 | 1,9 |
| 5421 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 1,95 | 1,85 |
| 5422 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 5423 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5424 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 5425 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,35 | 3,2 |
| 5426 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,75 | 2,1 |
| 5435 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,4 | 3,0 |
| 5436 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,85 | 1,95 |
| 5437 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,55 | 2,5 |
| 5438 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 1,8 | 2,0 |
| 5439 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,9 | 1,9 |
| 5440 | არმინია-მაინცი | 1,85 | 1,95 |
| 5441 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,4 | 3,0 |
| 5442 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,85 | 1,95 |
| 5443 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,9 | 1,9 |
| 5444 | ლეჩე-ბრეშა | 1,75 | 2,1 |
| 5445 | ინტერი-პალერმო | 1,25 | 3,7 |
| 5446 | ბოლონია-მილანი | 2,5 | 1,55 |
| 5447 | ფიორენტინა-კალიარი | 1,5 | 2,6 |
| 5448 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,15 | 4,0 |
| 5449 | ლაციო-რეჯინა | 1,4 | 3,0 |
| 5450 | ლივორნო-კიევო | 1,8 | 2,0 |
| 5451 | მესინა-რომა | 2,1 | 1,75 |
| 5452 | სიენა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5453 | უდინეზე-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5454 | ოსასუნა-ბეტისი | 1,7 | 2,2 |
| 5455 | ესპანიოლი-რეალი | [illegible] | 1,75 |
| 5456 | ვალენსია-სოსიედადი | 1,35 | 3,2 |
| 5457 | მალიორკა-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 5458 | ნუმანსია-ხეტაფე | 1,7 | 2,2 |
| 5459 | რასინგი-ვილიარეალი | 1,85 | 1,95 |
| 5460 | სევილია-ლევანტე | 1,5 | 2,6 |
| 5461 | სარაგოსა-ალბასეტე | 1,5 | 2,6 |
| 5462 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| 5463 | ბილბაო-დეპორტივო | 1,85 | 1,95 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5117 | არსენალი-ბოლტონი | 1,5 | 17,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 22,0 | 17,0 | 17,0 |
| 5118 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5119 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5120 | კრისტალ პალასი-სიტი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5121 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5122 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5123 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5124 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5125 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5126 | მანჩესტერი-ლივერპული | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5135 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5136 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5137 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5138 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5139 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5140 | არმინია-მაინცი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5141 | ვერდერი-ჰანოვერი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5142 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5143 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5144 | ლეჩე-ბრეშა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5145 | ინტერი-პალერმო | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5146 | ბოლონია-მილანი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,5 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5147 | ფიორენტინა-კალიარი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5148 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,4 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5149 | ლაციო-რეჯინა | 2,0 | 10,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5150 | ლივორნო-კიევო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5151 | მესინა-რომა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5152 | სიენა-სამპდორია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5153 | უდინეზე-პარმა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5154 | ოსასუნა-ბეტისი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5155 | ესპანიოლი-რეალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5156 | ვალენსია-სოსიედადი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5157 | მალიორკა-მალაგა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,2 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5158 | ნუმანსია-ხეტაფე | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5159 | რასინგი-ვილიარეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5160 | სევილია-ლევანტე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5161 | სარაგოსა-ალბასეტე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5162 | ატლეტიკო-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5163 | ბილბაო-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5517 | არსენალი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კრისტალ პალასი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ჩელსი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | მანჩესტერი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | შალკე-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | არმინია-მაინცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ვერდერი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ლეჩე-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ინტერი-პალერმო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ბოლონია-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | ფიორენტინა-კალიარი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | იუვენტუსი-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ლაციო-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ლივორნო-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | მესინა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | უდინეზე-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | ოსასუნა-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | ესპანიოლი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5556 | ვალენსია-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5557 | მალიორკა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5558 | ნუმანსია-ხეტაფე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5559 | რასინგი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5560 | სევილია-ლევანტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5561 | სარაგოსა-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5562 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5563 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5317 | არსენალი-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 5318 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | კრისტალ პალასი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5323 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5325 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5326 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5335 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 5336 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,5 | 2,2 |
| 5337 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,55 | 2,1 |
| 5338 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 1,55 | 2,1 |
| 5339 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,5 | 2,2 |
| 5340 | არმინია-მაინცი | 1,55 | 2,1 |
| 5341 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,55 | 2,1 |
| 5343 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,55 | 2,1 |
| 5344 | ლეჩე-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ინტერი-პალერმო | 1,7 | 1,9 |
| 5346 | ბოლონია-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5347 | ფიორენტინა-კალიარი | 1,7 | 1,9 |
| 5348 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,9 | 1,7 |
| 5349 | ლაციო-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 5350 | ლივორნო-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5351 | მესინა-რომა | 1,7 | 1,9 |
| 5352 | სიენა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5353 | უდინეზე-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ოსასუნა-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5355 | ესპანიოლი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5356 | ვალენსია-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5357 | მალიორკა-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 5358 | ნუმანსია-ხეტაფე | 1,7 | 1,9 |
| 5359 | რასინგი-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5360 | სევილია-ლევანტე | 1,7 | 1,9 |
| 5361 | სარაგოსა-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5362 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5363 | ბილბაო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5217 | არსენალი-ბოლტონი | 2,1 | 1,55 |
| 5218 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5219 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 5220 | კრისტალ პალასი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 5221 | ნორვიჩი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5222 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5223 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,75 |
| 5224 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 5225 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 5226 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5235 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2,1 | 1,55 |
| 5236 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5237 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 5238 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5239 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 5240 | არმინია-მაინცი | 2,0 | 1,6 |
| 5241 | ვერდერი-ჰანოვერი | 2,1 | 1,55 |
| 5242 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,95 | 1,65 |
| 5243 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 5244 | ლეჩე-ბრეშა | 1,8 | 1,8 |
| 5245 | ინტერი-პალერმო | 1,95 | 1,65 |
| 5246 | ბოლონია-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 5247 | ფიორენტინა-კალიარი | 1,75 | 1,85 |
| 5248 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,95 | 1,65 |
| 5249 | ლაციო-რეჯინა | 1,8 | 1,8 |
| 5250 | ლივორნო-კიევო | 1,75 | 1,85 |
| 5251 | მესინა-რომა | 1,75 | 1,86 |
| 5252 | სიენა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5253 | უდინეზე-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5254 | ოსასუნა-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 5255 | ესპანიოლი-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 5256 | ვალენსია-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |
| 5257 | მალიორკა-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5258 | ნუმანსია-ხეტაფე | 1,65 | 1,95 |
| 5259 | რასინგი-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5260 | სევილია-ლევანტე | 1,75 | 1,85 |
| 5261 | სარაგოსა-ალბასეტე | 1,75 | 1,85 |
| 5262 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5263 | ბილბაო-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |

# ლუქსემბურგი — საქართველო

18 სექტემბერი. ლუქსემბურგი

# ბრაიკოვიჩს პრეს-პრესი ელის

## მერაბ რატიშვილი: ნაკრებს ყველაფერი წინ აქვს

*მაკედონიაში დამარცხებული საქართველოს ნაკრები დღეს ლუქსემბურგში თამაშობს და ყველა წეს-კანონით იოლად გაიმარჯვებს. დასანანი მარცხის შემდეგ გამარჯვება საუკეთესო საშუალებაა ხასიათის გამოსაკეთებლად, მაგრამ რა უნდა მოიგოს დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ლუქსემბურგში ისეთი, თბილისში ჩამოსულმა ჟურნალისტ-გულშემატკივართა დაბღვერილი სახეები არ იხილოს. არადა, მედიასთან შეხვედრას ვერაფრით „გადაურჩება“ ხორვატი მწვრთნელი, რაკი, აქედანვე ცნობილია, რომ თბილისში დაბრუნებული საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა პრესკონფერენციას გამართავს და ეს საქმე უბრაიკოვიჩოდ არ ჩაივლის. ეს ამბავი გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გვამცნო, როცა მოახლოებული მატჩის შესახებ სასაუბროდ ლუქსემბურგში შევეხმიანეთ...*



ქართული კალათბურთის მეთაურობამ — მერაბ რატიშვილმა, ბესიკ ლიპარტელიანმა და დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მაკედონიაში მარცხის შემდეგ ბევრი იმსჯელეს

— ახლა დავბრუნდით დარბაზიდან, ორი საათი ვივარჯიშეთ. ჩვენი გუნდი ლუქსემბურგთან სათამაშოდ სრულ მზადყოფნაშია.

— ყველა მწყობრშია, ნიკა ცქიტიშვილს ფეხი ხომ არ აწუხებს?

— ნიკამ სრული დატვირთვით ივარჯიშა და ხვალ ითამაშებს. სხვებიც მწყობრში არიან, დანარჩენს მატჩი გვიჩვენებს.

— ლუქსემბურგთან მოგებული ქულების ოდენობას ხომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სატურნირო თვალსაზრისით?

— არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ ლუქსემბურგი თამაშების უმეტესობას წააგებს და ლიდერთა დავაში არ ჩაერევა. ამ შემთხვევაში, მასთან მოხვედრილი ქულა ბურთები თანაბარი ქულების მომგროვებელ ჯგუფის ლიდერებს ბალანსში არ ჩაეთვლებათ.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ლუქსემბურგი თამაშების მოგებას? ეს გუნდი ხომ ფინეთთანაც განადგურდა და მაკედონიასთანაც...

— წინასწარ გადაჭრით რამის თქმა არ შეიძლება. ჩვენს ჯგუფში ახლა ერთწლიანი შესვენება გამოცხადდება და მომავალი წლის სექტემბერში რა ფორმაში იქნებიან ლუქსემბურგელები, არავინ იცის.

— სხვათა შორის, ლუქსემბურგს ჰყავს ერთი-ორი ძლიერი მოთამაშე, რომლებიც B დივიზიონში ქულა-მოხსნებში ლიდერები არიან.

— ელვინ ჯონსი, B დივიზიონის ჯერჯერობით საუკეთესო მომხსნელი ჩვენს სასტუმროში ცხოვრობს. რატომღაც ის არაა გუნდთან ერთად. ჯონსი რომ შემონდ უილიამსმა ნახა, იცნო — ეს ბიჭი „ჯორჯიას“ უნივერსიტეტში თამაშობდაო.

— ლუქსემბურგს შევეშვათ, ალბათ ვაჯობებთ, მაკედონიამ კი დასანანი მატჩი მოგვიგო. რა თქვა მთავარმა მწვრთნელმა, რატო წავაგე მაკედონიასთანო?

— ნაკრების ხელმძღვანელებმა, რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ და წაგების მიზეზებზეც ვილაპარაკეთ. ახლა ამაზე საუბარი არ გვინდა, ჩამოვალთ თბილისში და ბრაიკოვიჩი პრესკონფერენციაზე თავად მოგახსენებთ ყველაფერს.

— ჯგუფიდან გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?

— წინ კიდევ ოთხი მატჩია და ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

**ირაკლი პერტაია**

---

*გუშინ ნუგზარ კანდელაკის სამწვრთნელო ნათლობა შედგა „ნტდ დევონში“. აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ბასკოს“ მწვრთნელყოფილმა ერთი თვეა, ჩაიბარა, ამ ხნის განმავლობაში ნავარჯიშები გუშინ „აზერზე“ მიუშვა და... „50 თუ 60 ქულა მოვიგეთ, წესიერად აღარც მახსოვს. ქულათა სხვაობას მნიშვნელობა არ აქვს, ეს ხომ ამხანაგური მატჩი იყო და ორიენტაციაც უფრო სათამაშო ასპექტებზე მქონდა გადატანილი“ — გვითხრა ნუგზარ კანდელაკმა ბაქოდან. „დევონი“ რომ ჩაიბარა, კანდელაკმა საქარათველოს კალათბურთის ფედერაციას შესთავაზა, თბილისში ჩამოვალთ და ნაკრებს გავესპარინგებითო, მაგრამ „ხუთჯვაროსნობამ“ იუარა. კანდელაკი მაინც არ კარგავს „დევონთან“ ერთად თბილისში ჩამოსვლის იმედს და დუდუ დადიანის ტურნირის უმიზნებს — თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი ფედერაცია ისევ უარს არ შეუთვლის კანდელაკს და მის „რაზმს“.*

# დევონი დადიანოზას შემიზნებს

## ირანელებს ბაქოში ჩასვლა არმენის გამო ეშინიათ



ნუგზარ კანდელაკი თბილისში ბაქოელებთან ერთად აპირებს ჩამოსვლას

— სპარინგპარტნიორი შედარებით სუსტი იყო და იოლად ვიმარჯვეთ. „აზერში“, სხვათა შორის, „დევონისა“ არ იყოს, ოთხი ქართველი თამაშობს — ნოე შანიძე, ირაკლი გელაშვილი, დავით ბარბაქაძე და ერთიც სსუ-ელი, გვარი არ ვიცი, „პანჩოს“ ეძახიან. დიდი ანგარიშით კი ვიმარჯვეთ, მაგრამ ჩემს გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია, ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში ვართ და მალე გაცილებით უკეთ ავთამაშდებით.

— ნუთუ ისე მძლავრად, რომ აზერბაიჯანის სიამაყე „გალას“ აჯობებთ?

— არც ეგაა გამორიცხული, თუმც, ობიექტური თუ ვიქნებით, „გალასთან“ „დევონი“ ჯერჯერობით ახლოსაც ვერ მივა. რიმას კურტინიტისის გუნდს ორი საკმაო ძლიერი ამერიკელი ჰყავს, დანარჩენი ლეგიონერებიდან გამოსარჩევი კი ვეტერანი ლიტველი ლუკმინასია, რომელსაც 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე უთამაშია და ბრინჯაო აუღია. „გალამ“ ახლახან დაიმატა ჩვენებური ზვიად ბაბაშვილი, რომელიც ლიტვაში შეკრებაზე იახლა.

— ჩემპიონატის დაწყებამდე „გალასთანაც“ ხომ არ გეგმავთ გაჯიბრებას?

— „გალა“ 2 ოქტომბერს ბრუნდება ლიტვიდან, ჩემპიონატი კი 5 ან 9 ოქტომბერს დაიწყება. თუ მოხერხდა, რა თქმა უნდა, ვისპარინგებთ კიდეც. ისე, თუ „გალას“ ვერა, ირანის ძლიერ გუნდს აუცილებლად ვეთამაშებით. „დევონის“ ხელმძღვანელობას სურდა, მინი-ტურნირი მოეწყო და ორი ადგილობრივ გუნდთან ერთად ორ ირანული კლუბიც მოეწვია. ორი დავითანხმეთ, მაგრამ მეორე ირანულმა გუნდმა უარი თქვა ჩამოსვლაზე. არ ვიცი, იხუმრეს თუ რა იყო, მაგრამ, მიზეზად ირანელებმა ის დაასახელეს, ჩვენი ცენტრფორვარდი სომეხია და ბაქოში მოგვიკლავენო. ლაპარაკია ჩვენთვის კარგ ნაცნობ არმენ ოგანესიანზე.

— მანდაური მწვრთნელები ალბათ გაიცანით. რას იტყვით მათზე?

— რა უნდა ვთქვა, ყველაზე გამორჩეული, ცხადია, რიმას კურტინაიტისია. ის მე ესტონეთში ყოფნისას გავიცანი, როცა „ჩელენჯ ქაფის“ ტურნირში სათამაშოდ „ბასკოს“ ახალგაზრდული გუნდი ტალინში მყავდა წაყვანილი. კურტინაიტისმა გამიხსენა და ძალიან გაუხარდა, აზერბაიჯანში რომ ჩავედი — კონკურენცია გვიზრდება, ასტრონომიული სხვაობით მოგებები მოსაბეზრებელიაო.

— „დევონსაც“ იოლად დამარცხებას ხომ არ უპირებს კურტინაიტისი?

— საქართველოს თასი და ჩემპიონობა მოგებული მაქვს, ახლა დუდუ დადიანის თასის აწევაც მსურს. რას ფიქრობს, არ ვიცი და მე კი ნამდვილად ვაპირებ მისი გუნდის დამარცხებას. ვიცი, რომ ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ აქ წასაგებად ხომ არ ჩამოვედი?!

— სურვილი ერთია და რეალობა სხვა...

— ფული რომ არაა მთავარი და შედარებით ღარიბ გუნდს დალხენილის დამარცხება რომ შეუძლია, პირადი გამოცდილებიდან ვიცი. „გალა“ მართლაც შემძლე გუნდია, წლეულს „ჩელენჯ ქაფზე“ თამაშობს და ამ ტურნირის მოგება აქვს მიზნად. ეს საკითხი სამთავრობო დონემდეა აყვანილი, ამდენ ფულს ვახარჯავთ და ამ გუნდს აზერბაიჯანის ჩემპიონობის მეტი არაფერი მოუგიაო, ამბობენ სპონსორები. მიუხედავად ამისა, „დევონი“ „გალას“ არაფერს დაუთმობს.

— თქვენს გუნდს მხოლოდ ქართველი ლეგიონერები ჰყავს?

— დიახ, ოთხი ქართველი და პლუს აზერბაიჯანის ნაკრების წევრები. თავად ამ ქვეყნის ნაკრები დიდი ვერაფერი ძალისაა, მაგრამ მისი წევრების გამოყენება შეიძლება. მეც ვცდილობ, მეტი სტიმული მივცე აქაურებს და მათ ბევრს ვათამაშებ. თუმც დღევანდელ მატჩში „ქართული“ შემადგენლობა რომ დავაყენე, უმალ 40 ქულით გავედით წინ.

— ვიცით, რომ „დევონთან“ ერთად ახლახან თბილისში ჩამოსვლა გინდოდათ...

— საქართველოს ფედერაციას შევთავაზე, ნაკრებთან სპარინგ-მატჩების სათამაშოდ ჩამოვალთ თბილისში-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე. ახლა მინდა, დუდუ დადიანის ტურნირში მივიღო მონაწილეობა, თუ, რა თქმა უნდა, ნებას დამრთავენ. თუ დადიანის ტურნირი ირანული კლუბის ჩამოსვლას არ დაემთხვა და ქართულმა მხარემაც ნება დაგვრთო, აუცილებლად ჩამოვალთ თბილისში. გინდაც აზერბაიჯანის ჩემპიონატი იყოს დაწყებული, ერთ-ორ თამაშს გადავდებთ და დადიანის ტურნირზე ჩამოვალთ.

**ირაკლი პერტაია**

# სამეფო პარკის წყევლა-ლოცვა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

*იტალიის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ რედაქციაში ფორმულა 1-ის სტაჟიანმა მოყვარულმა დარეკა, „მონცას“ ტრასაზე ბევრი მსმენია, ისიც, რომ სწორედ იქ დატრიალდა ყველაზე საშინელი ტრაგედია და იქნებ ამ ავტოდრომის ისტორიაზე ვრცლად მოგვეთხრო*



„მონცას“ საბედისწერო მონაკვეთი, სადაც დაიღუპნენ ალბერტო ასკარი, ვოლფგანგ ფონ ტრიპსი, იოხენ რინდტი და 14 მაყურებელი

„სამეფო რბოლებში“ ლეგენდარულს მხოლოდ მძღოლებს არ უწოდებენ. ასეთებად ითვლება ზოგიერთი ტრასა და მანქანაც კი, ვთქვათ, „მაკლარენ-ჰონდა“, რომლითაც ლეგენდარულმა პილოტებმა აირტონ სენამ და ალენ პროსტმა 1980-90 წლების მიჯნაზე ზედიზედ ოთხჯერ პირად-გუნდური, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა მოიხვეჭეს. ანდა XXI საუკუნის „ფერარი“, რომელმაც მიხაელ შუმახერს ისეთი ფანტასტიკური რეკორდები დაამყარებინა, სათოფეზე რომ ვერავინ გაეკარება.

ტრასებიდან ლეგენდარულის რანგში გადიან „სილვერსტოუნი“, სადაც 55 წლის წინ შედგა ზეისტორიული პირველი რბოლა, ეგზოტიკური, ქუჩის მონტე კარლო, ერთ-ერთი უგრძესი (22,8 კმ) და ტრაგიკული „ნიურბურგრინგი“, მთებში ჩაკარგული „მარგალიტი“ სპა-ფრანკორშამი და, რა თქმა უნდა, სისწრაფის და საერთოდაც, ფორმულის მექა „მონცა“.

მილანიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით მონცას „სამეფო პარკის“ ტერიტორიაზე ავტოდრომის აგებაში ბენიტო მუსოლინის ხელი ურევია. „დუჩე“ მტკიცე ნებისყოფის, წინდახედული პიროვნება იყო და ძალიან სურდა, ისეთი რამ შეექმნა, რაც მსოფლიოს თვალში იტალიის და შესაბამისად, მის პრესტიჟსაც აამაღლებდა. ამიტომაც აიტაცა ენთუზიაზმით სენატორის და იმავდროულად მილანის ავტოკლუბის პრეზიდენტ სილვიო კრესპის იდეა მონცაში სარბოლო ტრასის მოწყობაზე. მუსოლინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო და, ცხადია, ნებართვისთვის არავისთან დასჭირვებია ხვეწნა-მუდარა.

სიტყვა და საქმე ერთი იყო: 1922 წლის იანვარში უკვე მზად იყო იმ დროისთვის არნახული, გიგანტური ავტოდრომის პროექტი, 15 მაისს მშენებლობა დაიწყო და წარმოუდგენლად მოკლე ვადაში, 110 დღეში, ყველაფერი მოესწრო. ვეებერთელა ფართობზე 3500 მუშა დღედაღამ შრომობდა, სამშენებლო მასალების და გრუნტის მისაზიდად ხუთი კილომეტრის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაც კი გაიყვანეს. თანაც ორი სარბოლო წრე მოეწყო — ჩვეულებრივი, 5,5-კილომეტრიანი ტრასა და 4,5 კმ სიგრძის პროფილირებული, დახრილვირაჟიანი ოვალი.

„გახსნის“ რბოლაც იმავე 1922 წლის 3 სექტემბერს გაიმართა და „ფიატზე“ ამხედრებულ ტურინელის პეტრო ბორდინოს გამარჯვებით დასრულდა. 1928 წელს ფლორენტიელ ემილიო მატერაცის დაღუპვის შემდეგ „აუტოდრომო ნაციონალე“ სამი წლით დაიკეტა და სწორედ მაშინ განხორციელდა პირველი რეკონსტრუქციაც. მას შემდეგ ტრეკის კონფიგურაცია არაერთხელ შეიცვალა და სიჩქარის დასანელებლად სამი ორმაგი მოსახვევის მოწყობის მიუხედავად, 5,793-კილომეტრიანი წრე დღესაც ყველაზე უსწრაფესია „სამეფო რბოლებში“.

სწორედ „მონცას“ ეკუთვნის სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი ყველა ტრასას შორის — კილომეტრიან სასტარტო წრეზე შარშან მიხაელ შუმახერის „ფერარიმ“ 368,8 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

„მონცა“ საფორმულო კალენდარში პირველივე ჩემპიონატიდან, 1950 წლიდანაა და მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ (1980) ვერ უმასპინძლა „სამეფო“ მრბოლებს. ლეგენდარულ ავტოდრომზე ბევრი რამ მომხდარა — ავიც და კარგიც, შემზარავი კატასტროფებიც და მსოფლიოს ჩემპიონად ლოცვა-კურთხევაც. სწორედ მონცაში გაინაღდეს ტიტულები ლეგენდარულმა ბრიტანელებმაც — ჯეკი სტიუარტმა და ჯიმ კლარკმა...

ავტორბოლა უავარიოდ სად გაგონილა. ინციდენტები, ცხადია, მონცაშიც ხშირად მომხდარა და, სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ზეჩქაროსნულ „აუტოდრომო ნაციონალეს“ მკვლელის რეპუტაცია ჰქონდა, ისევე როგორც „სპა-ფრანკორშამს“, „ნიურბურგრინგს“.

1928 წელს ემილიო მატერაცის „ტელბოტი“ მთავარ ტრიბუნაზე შევარდა და 28 მაყურებელი იმსხვერპლა. ხუთი წლის შემდეგ „მონცას დიდი პრიზის“ გათამაშებისას დაიღუპნენ კამპარი, ბორზაჩინი და ცაიკოვსკი. მერე ფორმულის რიგიც მოვიდა — ოთხი პილოტი და 14 მაყურებელი გამოესალმა სიცოცხლეს.

**გია ახალაძე**

## ალბერტო ასკარი



ალბერტო შვიდი წლის იყო, როცა მამამისი, ცნობილი მრბოლი ანტონიო ასკარი, სხვათა შორის, მონცაზე ერთ-ერთი დიდი პრიზის მომგები, საფრანგეთში რბოლისას დაიღუპა. ეს მოხდა 1925 წლის 26 ივლისს. ამის გამო ალბერტო არასოდეს ჯდებოდა საჭესთან 26 რიცხვში, მაგრამ...

1955 წლის მაისის იმ საბედისწერო დღესაც 26 იყო. „მონცაზე“ მეუღლესთან ერთად მისულმა რატომღაც რამდენიმე წრის შემოვლა გადაწყვიტა სპორტული „ფერარით“. მესამე წრეზე ერთ-ერთ ჩქაროსნულ მოსახვევში, რომელიც ახლა ასკარის სახელს ატარებს, მანქანა ტრასას გადასცდა და ორჯერ ამოყირავდა. ალბერტო კაბინიდან გადმოვარდა და მრავალრიცხოვანი ტრავმებისგან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

## ვოლფგანგ ფონ ტრიპსი



ერთხელ პატარა „ვოლფი“ თავიანთ საგვარეულო მამულში თამაშისას ბოშა ქალს შეეფეთა. ბოშამ, გიმკითხავებო, მაგრამ როგორც კი მის ხელისგულს დახედა, შეკრთა და ფერიფერი დაკარგა, შენ საშინელ კატასტროფაში დაღუპვა გიწერიაო...

1961 წლის ჩემპიონატი ფონ ტრიპსის ხუთსეზონიან კარიერაში საუკეთესო იყო. ბოლოსწინა, იტალიური ეტაპის წინ იგი შვიდი ქულით უსწრებდა თანაფერარელ ფილ ჰილს და ტიტულიც თითქმის ჯიბეში ედო, მაგრამ იტალიის დიდი პრიზის გათამაშებამ ჩემპიონობის ნაცვლად 33 წლის გერმანელ გრაფს და კიდევ 14 მაყურებელს სიკვდილი მოუტანა. რბოლის მეორე წრეზე ავბედით მოსახვევ „პარაბოლიკას“ წინ ჯიმ კლარკმა ვოლფგანგის გასწრება სცადა, მაგრამ მანქანები ბორბლებით ერთმანეთს შეეხნენ და თითქმის 300-კილომეტრიან სიჩქარეზე გრაფის „ფერარი“ ჰაერში აფრინდა, მერე კი მიწაყრილზე მდგომ მაყურებლებში შევარდა. ესაა ფორმულა I-ის ყველაზე საზარელი ტრაგედია — 15 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის თავად მრბოლი, რომელმაც გონსმოუსვლელად, საავადმყოფოსკენ გზაზე დალია სული, კიდევ ოცამდე მაყურებელი კი მძიმედ დაშავდა.

რბოლა მაინც გაგრძელდა. გამარჯვება და ჩემპიონობა ამერიკელ მილიონერ ფილ ჰილს ერგო.

## კარლ იოხენ რინდტი



გაავსტრიელებული გერმანელი იოხენ რინდტი 1970 წელს, თავის მეშვიდე სეზონში ტრასებზე სწორედ რომ დაფრინავდა — ცხრიდან ხუთი ეტაპი მოიგო და ჩემპიონობამდეც აღარაფერი უკლდა.

ტრაგედია 5 სექტემბერს, იტალიის დიდი პრიზისწინა კვალიფიკაციისას მოხდა. „მონცას“ ჩქაროსნულ-რკალისებურ მოსახვევ „პარაბოლიკაში“ იოხენს საჭე გაექცა და მისი „ლოტუსი“ რკინის სალტეებიან ბარიერს მიეხეთქა. ბოლიდი ჯართად იქცა, 28 წლის მრბოლი კი „სასწრაფოს“ მანქანაში გარდაიცვალა.

რინდტს ქულათა იმხელა მარაგი ჰქონდა, რომ დარჩენილ სამ რბოლაში ვერავინ შეძლო მისი გადასწრება, ასე რომ, ჩემპიონი გახდა სიკვდილის შემდეგ, ვერცხლის თასი კი მისმა ქვრივმა ნინამ ჩაიბარა.

## რონი პეტერსონი



34 წლის შვედი პილოტი ისევე, როგორც ფონ ტრიპსი, „მონცაზე“ 10 სექტემბერს დაიღუპა, მასაც თითქმის აღარაფერი უკლდა ჩემპიონობამდე, ტიტული კი მისმა ამერიკელმა თანაფერარელმა მარიო ანდრეტიმ მოიპოვა.

1978 წელს იტალიის დიდი პრიზისას დასაწყისშივე, პირველ მოსახვევში მასიური, ათმანქანიანი შეჯახება მოხდა. კატასტროფა საშინელი კი ჩანდა, მაგრამ უბედურება არ მოჰყოლია, ოღონდ მაშინ, იმ წუთებში. ყველაზე მძიმედ დაშავდა იტალიელი ვიტორიო ბრამბილა, რომელსაც თავისივე მანქანის ბორბალი მოხვდა თავში. პეტერსონს რამდენიმე მოტეხილობა ჰქონდა, თუმც გონებაც კი არ დაუკარგავს. მაგრამ ავარიამ სისხლძარღვთა დაცობა გამოიწვია და რონი მეორე დღეს ცხიმოვანი ემბოლიისგან გარდაიცვალა.

## პაოლო ჯილიმბერტი



„მონცას“ ბოლო, მე-19 მსხვერპლი იტალიელი მეხანძრე იყო.

2000 წლის ისევ და ისევ 10 სექტემბერს 52 წლის პაოლო ჯილიმბერტიმ თავისი პოსტი წუთით მიატოვა, რათა უფრო ახლოდან ეცქირა რბოლისთვის და ეს მისი საბედისწერო ნაბიჯი გამოდგა: ექვსმანქანიან ავარიისას ესპანელ პედრო დე ლა როსას „ეროუსის“ მომძვრალი ბორბალი დამცავ ბარიერს გადააფრინდა და მეხანძრეს მოხვდა. პაოლომ თავის და გულმკერდის სასიკვდილო დაზიანება მიიღო. მართალია, ადგილზევე ჩაუტარეს გულის მასაჟი, მერე კი კლინიკაში გააქანეს, მაგრამ ექიმების ცდა ამაო იყო — ჯილიმბერტი რამდენიმე საათში, გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.



1961 წლის 10 სექტემბერი. ვოლფგანგ ფონ ტრიპსი



1970 წლის 5 სექტემბერი. იოხენ რინდტი



1978 წლის 10 სექტემბერი. რონი პეტერსონი

## ქართუს თასი. თიხნარი. საპრიზო 25 000 $

# თბილისიდან ბათუმისკენ მიმავალო ქალებო

**ნახევარფინალი**

ოლგა ლაზარჩუკი (1, უკრაინა) — ირინა კუზმინა (ლატვია) 6:0, 6:1

კატარინა კაჩლიკოვა (7, სლოვაკეთი) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 6:2, 6:0



ოლგა ლაზარჩუკი ფინალშია

ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეჩვეული ხალხმრავლობა და ჟრიამული გუშინ მესხის აკადემიის კორტებზე მისულთ მინავლებული გვეჩვენა. ორი კორტი სულაც მოშიშვლებულიყო და ვარჯიშის მსურველებიც არსად ჩანდნენ. სიცარიელეში მხოლოდ მეჩოგნეთა სიმცირეს ვგულისხმობთ, თორემ ნახევარფინალების მომლოდინე მაყურებელს ცენტრალური ტრიბუნა მაინც შეევსო.

„ქართუ ბანკის" ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა და ჩოგნების ნაადრევად დამშალითებლებმაც თავიანთი გზა ნახეს. ზოგმა საქართველოდან აიკრა გუდა-ნაბადი, უმეტესობა კი ბათუმის გზას დაადგა. ხვალიდან ჩოგბურთი აჭარაში გაბარგდება. დღეს კი თბილისური ფინალია. „ქართუ ბანკის" მერვე თასს ან უკრაინელი ასწევს, ანაც სლოვაკი.

გუშინ ნახევარფინალები არცთუ მღელვარე ბრძოლებში ჩათამაშდა. ნერვიული მეოთხედფინალების შემდეგ გაცილებით წინასაფინალო შეხვედრებს ელოდნენ. მოხდა კი პირიქით, ოლგა ლაზარჩუკი და კატარინა კაჩლიკოვა ფინალში ისე გავიდნენ, მათმა მეტოქეებმა ერთად სამი გეიმის აღება ძლივს შეძლეს.

ჩვენგან ნაქებმა ლატვიელმა ირინა კუზმინამ გასაგები მიზეზების გამო გაგვიცრუ იმედები. თამაშის დასრულებისთანავე თავადაც აღიარა — გუშინდელმა და გუშინწინდელმა შეხვედრებმა ისე გამთანგა, ფეხზე ძლივს ვიდექიო. ფიზიკური სიძლიერითა და შეუპოვრობით გამორჩეულ კუზმინას გუშინ ნერვიც არ ასტოკებია და აღარც დედამისის გამხნევება გაგვიგონია. ერთადერთხელ, მეორე სეტის დასაწყისში ამოიოხრა, სადა ხარ, ჩემო ძალებოო.

მოულოდნელობა იყო ფრანგი მატილდა იოჰანსონის მარცხი. ყოჩაღი რუსების — ვესნინასა და კონდრატიევას მძლეველს ბევრი გაჩემპიონებასაც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ არა ისეთი თამაშით, კაჩლიკოვასთან რომ აჩვენა. ფრანგის გადაღლაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვერც უკლასობას დავაბრალებთ. მარცხის მიზეზი უფრო მის ხასიათში იმალება. ჩამორჩენის ზრდასთან ერთად თამაშსაც აუარესებდა და თუ პირველ სეტში ორი გეიმი მაინც აიღო, მეორეში ქულაც სანატრელი გაუხდა. მოკლედ, გუშინდელი დღე აშკარად არ იყო მატილდასი. ხალხმა კი მაინც ბოლომდე მას უქომაგა და ბოლოს გულიანად ატირებულიც ტაშით გააცილა კორტიდან.

არ იქნება, ცოტა სლოვაკზეც არ ვთქვათ. ირინათინ ყავლაშვილის ძლივს მძლეველმა კაჩლიკოვამ ტურნირზე ენერგია ყველაზე კარგად გადაანაწილა და სულაც არ გაგვიკვირდება, ბათუმში თბილისური თასით რომ ჩავიდეს. თუმცა თუ თბილისის ტურნირის ხშირმა სტუმარმა ოლგა ლაზარჩუკმა დღეს ჩვეულად უბრაზუნა, შეიძლება კატარინას ჩოგნის მარჯვედ ქნევამაც ვეღარ უშველოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ძველი გვახსოვს და გპატიობთ



კიმ იუნ-იონი

გახსოვთ ალბათ, კორეაში 73 წლის ბერიკაცი კიმ იუნ-იონი ფინანსურ მაქინაციებში რომ ამხილეს და ორნახევარი წლით ციხეში ჩასვეს. ეს კაცი წლების განმავლობაში განაგებდა სამხრეთ კორეული სპორტის საქმეებს, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტისა და ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტი გახლდათ და 1988 წელს ოლიმპიადა სეულში რომ ჩატარდა, ამაშიც დიდი წვლილი დაიდო.

სასამართლოზე მთავარმა მსაჯულმა პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა, ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურება რომ მიგიძღვის, ასეთ მცირე სასჯელს ამიტომ დავჯერდითო, თუმცა კიმ იუნ-იონის ადვოკატებმა აპელაცია მაინც შეიტანეს და ამან გაამართლა კიდეც.

ამ დღეებში საქმე ხელახლა განიხილეს და სასჯელის ვადა რ თვით შეუმცირეს. აქედან გამომდინარე, კიმს მხოლოდ ორ წელიწადს მოუწევს ციხეში ყურყუტი.

ჟურნალისტებმა თავად მოხუცის ადვოკატი ვერა, მაგრამ საქმესთან დაახლოებული ერთ-ერთი მართლმსაჯული კი მოიხელთეს და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ჰკითხეს. მანაც განაცხადა, დაცვას ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდა, უბრალოდ, ისევ და ისევ, იუნ-იონის ძველ დამსახურებებზე და ხალხის მხრიდან მისდამი სიმპათიებზე ააგეს საქმე და ამან გაამართლაო.

**ლადო ფულუკიძე**



## ვუელტა 2004 4 - 26 სექტემბერი

# ვუელტა ერასია



ბებერმა რობერტო ერასმა ეტაპიც მოიგო და საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა

„ვუელტას" საერთო ჩათვლის ახალი ლიდერი ჰყავს, ძველი ჩემპიონი რობერტო ერასი. ერასი ბევრმა ჩამოწერა, ფავორიტებად უფრო ახალგაზრდები, თუნდაც პაკო მანსებო და ალეხანდრო ვალვერდე სახელდებოდნენ და ესენი კარგადაც დადიოდნენ კასტილიის მთიან გზებზე, მაგრამ ერთმა რელიეფურმა ეტაპმა ბევრი რამ შეცვალა.

მე-12 ეტაპი ლამის ზღვის დონეზე მდებარე ალმერიადან დაიწყო და განუხრელად აღმართ-აღმართ წავიდა. დაახლოებით 55 კილომეტრის გავლის შემდეგ პელოტონმა პირველი მთა გადაიარა და შემდეგ უფრო მაღალს 2150 მეტრამდე ასულ ალდო დე კალარს უწია. გვარიანი დაღმართის შემდეგ უკვე მოქანცულ მრბოლელებს მესამე და საბოლოო აღმართი ელოდათ და ერასმაც აქ შეუტია. საბოლოოდ მან წუთზე მეტი მოუგო საერთო ჩათვლის ლიდერ ალეხანდრო ვალვერდეს და სხვებთანაც იმხელა მარაგი შეიქმნა, გალიდერებაში რომ ეყო.

ეს ხდებოდა გუშინწინ. გუშინ კი მე-13 ეტაპი დასვენებისა იყო. ანდალუზიის ვაკეზე ველოქარავანს ერთი სერიოზული აღმართიც არ შეხვედრია. დუნე ეტაპის ბოლო მეტრებზე სპრინტი კი, რაღა თქმა უნდა, იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ მოიგო.

**კოტე ჯანგავაძე**

| | |
|---|---|
| **მე-12 ეტაპი. 16 სექტემბერი. ალმერია — კალარ ალტო. 145 კმ** | |
| 1 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | 4სთ 19წთ 30წმ |
| 2 სანტიაგო პერესი (ესპანეთი, ფინაკი) | +34წმ |
| 3 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +53წმ |
| **მე-13 ეტაპი. 17 სექტემბერი. ელ ეხიდო — მალაგა. 172 კმ** | |
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) | 4სთ 16წთ 55წმ |
| 2 ერიკ ცაბელი (გერმანია, T-მობაილი) | |
| 3 პედრო ორილიო (ესპანეთი, ქუიქ სტეპი) | ორივე იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | 48სთ 52წთ 45წმ |
| 2 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +35წმ |
| 3 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +49წმ |



## იტალია

სერია B. II ტური

კატანია 1:0 ვერონა

პიაჩენცა 2:1 ვენეცია

## გერმანია

II ბუნდესლიგა. V ტური

ალენი 2:2 ტრირი

დინამო 1:2 კარლსრუე

მიუნხენი 1:0 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა IX ტური

ზანქტ პაული 2:1 არმინია (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა VII ტური

ფიურტი 2:0 ჰოფენჰაიმი

კიკერსი 2:2 ელვერსბერგი

ოფენბახი 3:1 ბაიერნი (მ)

## საფრანგეთი

II დივიზიონი. VIII ტური

ამიენი 2:1 დიჟონი

კლერმონი 0:0 მონპელიე

გენიონი 1:0 გრენობლი

გენგამი 1:0 ანჟე

ლე ავრი 1:1 ლავალი

ლე მანი 1:1 ბრესტი

ნანსი 1:0 ლორიანი

რეიმსი 0:0 სედანი

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი V ტური

დენ ჰააგი 0:4 ვიტესი

მეორე დივიზიონი VI ტური

აპელდორნი 3:2 ექსელსიორი

დორდრეხტი 2:0 იგლსი

ეინდჰოვენი 0:0 კამბური

ზვოლე 2:1 მაასტრიხტი

ჰერაკლესი 3:0 ჰელმონდი

სპარტა 1:2 ვოლენდამი

ტელსტარი 1:1 ემენი

ვეენდამი 2:3 ჰაარლემი

ვენლო 5:1 ოსი

## ბელგია

იუპილერლიგა. VI ტური

ლუვიე 3:1 მუსკრონი

## პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური

ბოავიშტა 1:1 სეტუბალი

## ავსტრია

პირველი დივიზიონი IX ტური

ალტახი 2:1 უნტერზიბენბრიუნი

კაპფენბერგი 1:2 რიდი

კერნტენი 1:1 აუსტრია (ლ)

ლინცერი 1:1 გრატკორნი

ვიორგლი 0:2 ლეობენი

## თურქეთი

სუპერლიგა. VI ტური

დიარბაქირი 0:1 დენიზლი

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი გადადებული მატჩები

შემროკი 1:3 დუბლინი

ბოჰემიანსი 1:0 კორკ სიტი

დროჰედა 0:1 ლონგფორდი

## პოლონეთი

პირველი ლიგა. VI ტური

ლეხი 0:2 კრაკოვია

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა




რაგბი და ძვლების მტვრევა არ გეგონოთ, ეს გაქაჩული ჯეელი მშვიდობიანი კრიკეტის მშფოთვარე ფანია და ლონდონის საკრიკეტო ოვალზე მშობლიური ავსტრალიის სიყვარულმა და „მოსისხლე" ახალი ზელანდიის სიძულვილმა გადაახტუნა.




კობი ბრაიანტს უკვე შეუძლია ხალხში თამამად გასვლა — სასტუმროს მოსამსახურის გაუპატიურებაზე ეჭვმიტანილ ვარსკვლავს, როგორც იქნა, დაეხსნენ პროკურორ-მოსამართლეები და ისიც ცოლ ვანესასთან ერთად ლას ვეგასს გაფრენილა რაღაც მუსიკალურ დაჯილდოებაზე.

# ფარვანოვის სასახლეში

ბოლგართა ქვეყანას სწვევია ევროსოკერის შეფი ლენარტ იუჰანსონი და საფეხბურთო პუბლიკაში გამოჩენის შემდეგ ბოლგართა პრეზიდენტ გეორგი ფარვანოვთან შეუვლია. შეუვლია და პრეზიდენტისთვის რამერუმეებიც უძღვნია. ამასობაში სოფია უეფას აღმა-საბჭოს კარავს მასპინძლობს.







# წინაპარი

სანამ რობოტები კაცთა მოდგმას ომს გამოუცხადებენ და ხალხის ხოცვას დაიწყებენ — ეს კი რამდენიმე საუკუნით გვიან მოხდება, ვიდრე ამერიკულ სანახაობებში გვაშინებენ — ჩვენ და ტერმინატორის აი, ასეთი უწყინარი წინაპრები ერთმანეთთან ურთიერთობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. ტოკიოში თავიანთ საქმეზე ჩასულ მოტომრბოლებს სეტე გიბერნოს, ანდრეა დოვიზიოსა და ნიკი ჰეიდენს იაპონელებმა ეს რობოტი შეახვედრეს, რომელიც ჯერ მხოლოდ იმას ახერხებს, რომ არ იქცევა.

# ზანგს საქმეს ურჩევენ

აი, ამ ბოხვერა ზანგს, დომინიკელთის პასპორტიან ბეისბოლისტ ფრანკლინ ფრანსისკოს აულია და აი, იმ მოქალაქისთვის სკამი უთხლეშია. მოქალაქე გაწეულა და სკამს მისი ცოლი დაუზარალებია. ახლა ფრანსისკოს სასამართლოში საქმეს ურჩევენ.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge